

ქველად
საქართველო

F 137

1918

საქართველოს პარლამენტი.

სტენოგრაფიული ანგარიში.

53 სსდომა.

შაბათი, ოქტომბრის 26, 1918 წ. ტფილისი. სასახდე.

თავმჯდომარეობს პარლამენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე.
შედივნობს პარლამენტის შედგენის ამხანაგი იოსებ აბაკელია.
პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი იესე ზარათაშვილი.
კრება ნაშუადღევს 12 საათსა და 50 წუთზე იწყება.

თავმჯდომარე. სხდომა გახსნილი გახლავთ. გთხოვთ წაიკითხოთ დღიური წესრიგი და ცნობა საქართველოს პარლამენტის მიმართ სომხეთის ეროვნულ საბჭოსი.

შედივანი კითხულობს. შემდეგ განცხადებაა. სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის წევრის ვ. ბარბაქაძის პარლამენტადან გასვლის შესახებ და სომხურ ეროვნულ საბჭოს საქართველოში—პარლამენტში ერზიკიანის და სერგი დანდუროვის არჩევის შესახებ.

პარლამენტი აღდგენს განცხადება გადაეცეს სამინისტრო კომისიას.

დღიური წესრიგი.

შედივანი (კითხულობს). 1. საბოლოო ტექსტი ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის გაერთიანების კანონისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი შალვა ამირჯვანი.

2. სამანდატო კომისიის მოხსენება რუსთა და ებრაელთა წარმომადგენლების პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი შალვა მიქელაძე.

3. გაგრძელება მსჯელობისა დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულების შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი ალექსანდრე ლეშათაძე.

4. კანონ-პროექტი საბაჟო დაწესებულებებში საკანცელარიო გადასახადისა.


მომხსენებელია პარლამენტის წევრი დავით შარაშიძე.

5. კანონ-პროექტი ვარშე საქმეთა სამინისტროს შტატებისა და ხარჯთა აღრიცხვისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი დავით ონიაშვილი.

6. კანონ-პროექტი—სახელმწიფო ქადალდის მშენებელთა კავშირის ხარჯთა აღრიცხვისა.
მომხსენებელია პარლამენტის წევრი დავით ონიაშვილი.

F 5859





7. კანონ-პროექტი აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ სტილისტიკის შედგენის შესახებ.

8. დამოუკიდებელ ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვა 20 მარტი 1920 წლის სალიკვიდაციო ფონდის შესახებ.

პარლამენტის წევრის ალექსანდრე ახმეტელის შეკითხვა ტფილისში უცხო სახელმწიფოს შეიარაღებულ რაზმის არსებობის შესახებ.

10. პარლამენტის წევრთა ნიკოლოზ თარხანაძის და ლეონ თუმანაშვილის იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრისადმი შეკითხვა სასამართლოს გაუსჯელად პოლიტიკურ პატიმართა ბუღუ შიდივანისა და სხ. საატუსალოში უბრალმდებოდ და მწყვედვის შესახებ.

11. პარლამენტის წევრის დავით დავითხანიანის შინაგან და სამხედრო მინისტრისადმი შეკითხვა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საიდუმლოების გამოქვეყნების საწინააღმდეგო ზომების შესახებ.

საბოლოო ტექსტი ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის გავრცელების კანონისა.

თავმჯდომარე. საბოლოო ტექსტი საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის გავრცელებისა. მომხსენებელია ამირეჯიბი.

შალვა ამირეჯიბი. კანონი საქართველოს ტერიტორიაზე ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის გავრცელებისა.

პირველი მუხლი. (კითხულობს) დაარსებულ იქნას საქართველოს ყოველ სოფლის საზოგადოებაში ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის განყოფილება.

ამ მუხლში შეცვლილი გახლავთ მხოლოდ სიტყვა იქნას. ჩვენ დავფრეთ: იქნეს.

მუხლი მეორე. (კითხულობს) დავეალოს სოფლის საზოგადოებებს უსასყიდლოთ დაამზადონ ადგილობრივად საჭირო ზოძები და ბიჯები ალაზე მიტანით და ორმოების გათხრით; აგრეთვე უსასყიდლოდ მისცენ ფოსტა-ტელეგრაფის საჭიროებისათვის ოთხ თვალისანი სახლი, გათბობა, განათებით და დარაჯით სამი წლის ვადით; ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ბინის მოსაწყობათ და ავეჯეულობის შესაძენათ ერთდროულად გადაიხადონ 2500 მან., ხოლო ტელეფონით სარგებლობისათვის 500 მან. ყოველ წლიურად.

აქ მხოლოდ სტილისტიური შესწორებანია შეტანილი. სარედაქციო კომისიამ ეს მუხლი ასე მიიღო: (კითხულობს) 2. დავეალოს სოფლის საზოგადოებას უსასყიდლოდ დაამზადოს ადგილობრივად საჭირო სვეტები და ბოძები, მიიტანოს ადგილზე და დათხაროს ორმოები; აგრეთვე უსასყიდლოთ დასთმოს ფოსტა-ტელეგრაფის საჭიროებისათვის ოთხ თვალისანი სახლი გათბობა-განათებით და დარაჯით სამი წლის ვადით; ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ბინის მოსაწყობად და ავეჯეულობის შესაძენად ერთდროულად გადაიხადოს 2500 მან., ხოლო ტელეფონის სარგებლობისათვის 500 მან. ყოველ წლიურად.

მუხლი მესამე და მეოთხე უცვლელად არის მიღებული.

მე-5-ე მუხლში სიტყვა შტატები შევცვალეთ სიტყვით: შტატი.

ამ კანონ-პროექტს დართული აქვს ხარჯთ-აღრიცხვა, რომელშიაც მხოლოდ სტილისტიური შესწორებები იყო შეტანილი. ამის წაკითხვა, მე მგონი, აქირო არ არის.



სამანდატო კომისიის მოხსენება.

თავმჯდომარე. პარ. ამენტის წევრი შალვა შიქელაძე.

შ. შიქელაძე. (ს. ფ.) სამანდატო კომისიის ვადმოცეა ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს მიერ მონაწერი: საქართველოში მოსახლე რუსთა ორი წარმომადგენლის შესახებ. პარლამენტში არჩეულნი არიან მ. ნ. სმირნოვი და ა. ა. კალიუჯინი, მაგრამ სამანდატო კომისია ვერ სცნობს ამ არჩევნებს კანონიერად შემდგენის მოსაზრებით: მოგესხენებათ, რომ იმ კანონის მეორე მუხლი, რომლის ძალით ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელნი უნდა შემოვიდნენ საქართველოს პარლამენტში, ამბობს, რომ შესაძლებელია წარმომადგენელნი არჩეულ იქნენ ისეთ ეროვნული საბჭოსაგან, რომელიც შესდგება საქართველოს მოქალაქეებისაგან და რომლებიც თავის მოქმედების ასპარეზად მხოლოდ საქართველოს ტერიტორიას ისახევენ. აქ კი არის არჩეული პარლამენტის წევრებად რუსთა ეროვნულ საბჭოსაგან, რომელიც მთელ ამიერ-კავკასიის მოქალაქეებისაგან შესდგება და ამიერ-კავკასიის ფარგლავს თავის მოქმედების ასპარეზით. რუსთა ეროვნულ საბჭოს დაუდგენია, რომ თანახმად 14 მუხლისა მათი წესდებისა, უფლება აქვს მათ გამოგზავნონ რუსის წარმომადგენლები ქართულ პარლამენტში. მაგრამ კერძოდ წესდება რომელიმე დაწესებულებისა სრულიად სავალდებულო არ არის პარლამენტისათვის. პირიქით პარლამენტის ყოველივე დადგენილება ყოველივე დაწესებულებისათვის, რომელიც იმოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე—სავალდებულოა.

ამიტომ სამანდატო კომისია ერთხმად იმ აზრს დაადგა, რომ ეს არჩევნები უკანონოდ იქნეს ცნობილი და ბ. სმირნოვი და კალიუჯინი არ იყვენ საქართველოს პარლამენტის წევრებად დამტკიცებულნი.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? რაკი არავის ნებავს, კამათი არ გახლავთ. ვინ არის თანახმა კომისიის აზრის, გთხოვთ ასწიოთ ხელი. მაშასადამე მიღებული არის კომისიის აზრი.

შ. შიქელაძე. მეორე საკითხი შეეხება ებრაელებს და ქართველ ისრაელების წარმომადგენლობას საქართველოს პარლამენტში. მოგესხენებათ, რომ პირველი მუხლი ამ კანონისა, რომელიც მიღებული იყო ეროვნულ უმცირესობის შესახებ, ნება აქვთ გამოგზავნონ ორი წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში ქართველ ისრაელებსა და ერთი წარმომადგენელი დანარჩენ ებრაელებსა. ამ დადგენილებისთვის, რომელიც გადაწყვიტა საქათველოს პარლამენტმა—დაეთმოს ქართველ ისრაელებსა და ებრაელებს, ორი სხვა და სხვა მანდატი მოგვივიდა. ერთი არის გამოგზავნილი ებრაელთა საბჭოს მიერ საქართველოში, რომელსაც აუთრევიდა სამი წარმომადგენელი:—ბ-ნნი კაკიტელაშვილი, შტრეინბერი და ბააზოვი. მეორე არის გამოგზავნილი ქართველ ისრაელთა ინტერპარტიულ საბჭოსაგან ქართველ ისრაელთა საზოგადოების „აგუდათ ისრაელისაგან“ და სასულიერო სამმართველოსაგან, რომელსაც აუთრევიდა ერთხმად ორი წარმომადგენელი ქართველი ისრაელების საქართველოს პარლამენტში.

სამანდატო კომისიამ განიხილა ეს ორი მანდატი, და იმ აზრს დაადგა, რომ ის პირველი მანდატი, გამოგზავნილი საერთო ებრაელების საბჭოსაგან არ უნდა იქნეს ცნობილი კანონიერად, ვინაიდან, კანონით, რომელიც გამოცემული იყო ქართველი ისრაელები და დანარჩენი ებრაელები—ერთმანეთისაგან გაყოფილი იყვნენ და მათ შეეძლოთ შეერთება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არავითარი პროტესტი არ იქნებოდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ აუთრებული პროტესტი



იყო, როგორც მთავრობის, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის და სამანდატო კომისიის წინაშე წინააღმდეგ იმ არჩევნებისა, რომელიც მოახდინა ტფილისის ებრაელთა ეროვნულმა საბჭომ. ამიტომ ფორმალური მოსაზრებით, შესაძლებელია მხოლოდ, რომ ცალკე აირჩიონ წარმომადგენელი ქართველ ისრაელებმა და დანარჩენ ებრაელებმა. აქ კი მოხდა ებრაელთა წარმომადგენლების საერთო კრება, რომელსაც სხვათა შორის არ დასწრებიან ქართველ ისრაელების დიდი უმრავლესობა. ამიტომაც მანდატი ბ. შტრეინერის, კაკიტელაშვილის და ბაახოვის არჩევის შესახებ სამანდატო კომისიამ ერთხმად უარყო. რაც შეეხება 2 მანდატს, რომელიც გამოგზავნილია ქართულ ისრაელების ინტერ-პარტიულ საბჭოსაკენ, ქართველ ისრაელების „აგუდათ-ისრაელ“-ის საზოგადოებისაკენ და სასულიერო მმართველობისაკენ,—ეს მანდატი სამანდატო კომისიამ სამართლიანად სწო შემდეგი მოსაზრებით: ქართველ ისრაელთა ინტერპარტიული საბჭო აერთებს ყველა პარტიებს, რომელნიც არსებობენ და მოქმედებენ საქართველოში. აქ არიან წარმომადგენელნი სოც.-დემ., სოც.-ფედ. სოც.-რევ. და ეროვ.-დემოკრატიებისა; გარდა ამისა ქართველ ისრაელების საზოგადოება „აგუდათ ისრაელ“ თუნცა უფრო რელიგიური საზოგადოება არის, მაგრამ აერთიანებს, საზოგადოდ დიდ უმრავლესობას ქართველ ისრაელებისას.

ამგვარად, ამ საზოგადოებაში და ამ ინტერპარტიულ საბჭოში არიან თავმოყრილნი მთელი ქართველი ისრაელები და მათ, რა თქმა უნდა, მეტი უფლება აქვთ გამოგზავნონ ქართველ ისრაელთა წარმომადგენლები.

ამიტომ, სამანდატო კომისია იმ აზრისა არის, რომ წარმომადგენელნი, გამოგზავნილნი ინტერპარტიულ საბჭოსაკენ. „აგუდათ-ისრაელ“-ის საზოგადოებისა და სასულიერო მმართველობის მიერ,—ბ. ბ. ბუხიაშვილი და დავარაშვილი უნდა იყვნენ ცნობილი კანონიერ წევრებად საქართველოს პარლამენტისა.

თავმჯდომარე. ვის ნებას სიტყვა? კენჭს უყრი თქვენს პირველ წინადადებას.

მომხსენებელი. ჩემი პირველი წინადადება ეხება იქას, რომ არჩევნები; მომხდარი ებრაელთა საბჭოს მიერ და მანდატი შტრეინერისა, კაკიტელაშვილისა და აბაახოვის უკანონოდ უნდა იქნეს ცნობადი.

თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე ამ წინადადებისა გთხოვთ ასწიოთ, ხელი! წინადადება მიღებული არის.

თქვენი მეორე წინადადება.

მომხსენებელი. მეორე წინადადება: მანდატები წარმოდგენილი ქართველ ისრაელების ინტერპარტიულ საბჭოს „აგუდათ ისრაელ“-ის საზოგადოების და სასულიერო მმართველობის მიერ უნდა იქნეს ცნობილ კანონიერად.

თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე ამ წინადადების? გთხოვთ ასწიოთ, ხელი. ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე, ეს ორივე წინადადება კომისიისა მიღებული გახლავთ. შემდეგ გადავდივართ აი ამ კანონ-პროექტზე, დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ.

სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს მელიტონ რუსიას.

გაგრძელება მსჯელობისა დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულებების შესახებ.

მელიტონ რუსია. (ს.-დ.) კანონ-პროექტი დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულებისა გადაცემული იყო საპარლამენტო კომისიის მიერ იურიდიულ კომისიაში. კომისიამ ამ კანონ-პროექტში შეიტანა რამდენიმე ცვლილება და შეს-

წორება. ერთის გარდა, როგორც აქ მოგახსენათ ამხანაგმა ლოშთათიძემ ყველა შიილი კომისიამ: ამ შესწორებაში და ცვლილებაში ორი არის უმთავრესი რაჲ: ერთი, რომელიც ეხება ჯარის პასიუორ არჩევნების უფლებას, მეორე ეხება, სად მინისტრაციაში მოსამსახურეთ. იურიდიულ კომისიის აზრით, ადმინისტრაციასაც, და მილიციას უნდა მიეცეს საარჩევნო უფლებას როგორც პასიუორი, ისე აქტიუორი. მოსაზრება იურიდიულ კომისიისა შემდეგი არის: საარჩევნო უფლება, არის უაღრესი უფლება, რომელიც რეგულირებულია მოუპოვა დემოკრატის. მთელი ბრძოლა, მთელი მსხვერპლი დემოკრატის ამისთვის გამოიღო. აი სწორედ ამ უმთავრეს მოთხოვნისთვის, ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს მინიჭებული ეს უაღრესი პოლიტიკური უფლება. თუ გადავხედავთ კანონ-პროექტს, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ეს პოლიტიკური უფლება, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, თითქმის არც ერთ მოქალაქეს არ ერთმევა სამუდამოთ. მე არ ვიტყვი ჯარის შესახებ. ჩვენ თუ დროებით შეგზულდეთ აქტიუორი საარჩევნო უფლება ჯარის, ეს გამოწვეულია მხოლოდ დროებითი მოვლენით, ვინაიდან ჩვენ კიდევ არ გვაქვს დამტკიცებული ჯარში დისციპლინა. მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ ჯარში, ეხლა იწყობა ეს დისციპლინა, რომ ამ საარჩევნო უფლების გადასროლით არ მომხდარიყო ერთგვარი არეგ-დარეგვა, რადგანაც ყველა პოლიტიკური მიმდინარეობა არის ჯარში.

თუარ ვილა პარაკებთ იმ ჯარზე, რომელსაც არ აძლევთ საარჩევნო უფლებას, თუ თქვენ დაადასტურებთ კომისიის აზრს, თუ ამ ჯარზე არ ვილაპარაკებთ, გამოდის, რომ თვით კატორლით დასჯილ დამნაშავეთაც პოლიტიკური უფლება არ ერთმევა. მეხუთე მუხლში თქვენ ნახავთ, როდესაც გადის რამდენიმე ვადა, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სასჯელი ჰქონდა მისჯილი დამნაშავეს, მას ეს პოლიტიკური უფლება აღედგინება, კატორღელსაც აღედგინება ეს უფლება როცა გავა ბევრი თუ ცოტა დრო. შემდეგ, მხოლოდ ერთად ერთი დამნაშავე, ერთად-ერთი კატეგორია, რომელსაც ერთმევა პოლიტიკური უფლება არჩევნებისა, ეს არის ვერშემძლე მოვალე, ისეთივე ვერშემძლე მოვალე, რომელიც სასამართლოს განაჩენით არის ცნობილი, ბოროტ-გამზარახველ-ვერშემძლე მოვალელ. ამის გარდა, ვიმეორებ, არავის სამუდამოდ უფლება არ ერთმევა, თუ თქვენ მიიღებთ მხედველობაში ამ მოვლენას, თუ მიიღებთ მხედველობაში, რომ საარჩევნო უფლება პოლიტიკურად არის ისეთი მონაპოვარი რეგულირებისა რომელიც გამოკლებულია აუარებელ მსხვერპლიდან, რომელიც არის ერთი უმთავრესე მოთხოვნისება ყოველ დროს, დემოკრატისა და მუშათა კლასისა, თითქმის პირველ რიგში თავის მოთხოვნისების პოლიტიკური პარტიები აყენებენ საყოველთაო არჩევნების იდეას, თუ ყველას ამას მიიღებთ მხედველობაში, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ არც ერთი მოქალაქე არ უნდა იყოს მოკლებული ამ უფლებას. ამ დროს ჩვენ ვხედავთ, რომ მილიცია და ადმინისტრაცია მოკლებულია ამ უფლებას. რა მოსაზრებით? როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ჯარზე, ჩვეი ვამბობთ დისციპლინაზე, ჯარში შესვლა არის ერთგვარი მოვალეობა იძულებითი მოვალეობა. თქვენ გინდათ თუ არ გინდათ ხართ მოვალე რომ ჯარში იმსახუროთ. რაც შეეხება მილიციას, ესეგნება ყოფით არის, ყველა მოქალაქეს შეუძლიან შევიდეს, შეუძლიან არ შევიდეს როდესაც თქვენ ყველა იმათ ვინც კი შედის მილიციაში, იქნება ის ქალაქის მილიცია, თუ ახლად დაარსებული ერობის მილიცია, თუ ყველა მაგათ პოლიტიკურ უფლებას წაართმევთ, როდესაც თქვენ კატორღელსაც კი აძლევთ



უფლებას, როცა დრო გავა, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ არც ერთი შეცვნიშებული მოქალაქე არ შევა მილიციაში, ვინაიდან, მილიციაში შესვლა უნდა იყოს ისეთი სასჯელი, რომელიც გადაამეტებს კატორღის სასჯელს. ისე ამგარად მილიცია სამაზრო და საქალაქო და ადმინისტრაცია დარჩება ამ საარჩევნო კანონის გარეშე მათთვის საარჩევნო პოლიტიკურ უფლების წართმევა იქნება. და, რასაკვირველია, ყოვლად უსამართლო, და არ იქნება გამართლებული საქმის მდგომარეობით. ამიტომ იურიდიული კომისია წინადადებას აძლევს პარლამენტს, რომ მეხუთე მუხლი იქნეს ამოშლილი. ესე იგი მილიციას და ადმინისტრაციას ჰქონდეს საარჩევნო უფლება, როგორც პასიური, ისე აქტიური.

თავმჯდომარე. პარლამენტის წევრი გობეჩია.

ივანე გობეჩია. (ს.-რ.) იურიდიულ კომისიამ წარმოადგინა აქ განცხადება, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლება, ეს არის უადრესი უფლება, რომელიც ხალხმა რევოლუციით მოიპოვა. ჩემის მხრით, მე მგონია, რომ ეს მართლაც უდიდესი უფლებაა, ისარის მოპოვებული დემოკრატიის სისხლით, და მის მედგარ ბრძოლით. ამიტომ რასაკვირველია, ასეთი უფლების დათმობას, ასეთ უფლების შელახვას, დემოკრატია, ჩემის აზრით, არ მოითმენს და არ მოისურვებს. რეგულიარულ ჯარში მსახურთ ვანიჭებთ მხოლოდ პასიურ უფლებას და დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიას კი აქვს მიღებული ეს იურიდიულ კომისიის შესწორება, რომელიც დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიამ გაიზიარა. როდესაც ჩვენ მას ვანიჭებთ პასიურ უფლებას, მაშინ უნდა ვვრძობოდეთ, რომ ჩვენ მოქალაქის საარჩევნო უფლებას, ჩვენვე ვლახავთ.

საქმე იმაშია, რომ ვინაიდან ერთად ერთი მოსაზრება, რომელიც მოყვანილი არის, არის ვითომდა ჩვენი ჯარი მტკიცე საფუძველზე ავაკოთ, და საქირთ არის, რომ ის პოლიტიკის გარეშე იყოს ეს მართალი არის. მაგრამ როცა რომ ის კაზარმაში სცხოვრობს, როცა მხედრობა თავის მოვალეობას ასრულებს, ან როცა იმას ფრონტზე იწვევენ გარეშე მტრის წინააღმდეგ, რასაკვირველია მაშინ აქ პოლიტიკას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ, როცა ის თავისუფალი არის, თავისუფალ დროს, მე მგონი რომ ჯარი არ არის მოწვეული იმისთვის, რომ შინაური მტერი დაამარცხოს. ის არი მხოლოდ გარეშე მტრისთვის მოწვეული. მაშასადამე, როცა ჯარი თავისუფალი ამ მოვალეობის ასრულებიდან, რატომ მას არ უნდა ჰქონდეს საარჩევნო უფლება? ჩემის აზრით, ყოვლად შეუწყნარებელი და შეუძლებელი არის, რომ 19—23 წლის ახალგაზდებს ამ კატეგორიის ახალგაზდებს ჩვენ ავყაროთ ეს უფლებები. სწორედ დემოკრატიის ინტერესებიც მითხოვს იმას, ჩვენ რომ ეს უფლებები დარჩეთ მათ (ხმა: რომელ ქვეყანაშია ეს?). შესაძლებელია, რომ ეს სხვა და სხვა სახელმწიფოში არ იყოს, ჩვენდა სამწუხაროდ, მაგრამ, ნუ დავიწყებთ, რომ რამდენადაც მე ვიცი, არც ერთ ქვეყნის პარლამენტში უმრავლესობა სოციალისტური არ ყოფილა. რასაკვირველია, ჩვენ მათთან შედარებით, იმდენად მომზადებულნი არა ვართ, კულტურულათ ისე მათა არ ვდგევართ, სამწუხაროდ, როგორც ევროპის წარჩინებული ქვეყნები. ნუ დავივიწყებთ, რომ როცა სათავეში მოექცნენ ის კლასები, რომელთაც შეუძლიანთ დაეკრდნონ მხოლოდ უსულო მანქანებს, ამ რევოლუციარულ ჯარს, რომელსაც პოლიტიკის გარეშე აყენებენ; ეს ჩემთვის ვასაგებია, მაგრამ აქ, საცა უმრავლესობა სოციალისტური არის, სადაც სწორედ ხალხის შეგნებაზე ამყარებს თავის ძლიერებას ჩვენი დემოკრატიული მთავრობა, აი აქ ამ უფლებების აყრა ჯარისთვის სრულიად ზედმეტი გახლავთ. ნუ დავივიწყებთ, თუმცა შედარებით, ევროპიული სახელმწიფოები უფრო მალა სდგანან ცოდნით, ყველაფრით, მაგრამ ისინი, ვინც სათავეში სდგანან, ისინი ასე თუ ისე, გამოხატავენ



ხალხის უმრავლესობის მეშინურ სულის კვეთებას. და ჩვენი თავისუფლება, რომელიც წარმოშობილი არის დიდი რევოლუციის ცეცხლის ალში,—მე მგონია ის უნდა განირჩევიდეს იმ საარჩევნო წესებიდან, რომელიც არსებობს ჯერჯერობით მეშინურ ევროპაში.

ამიტომ ჩვენი ფრაქციის აზრი, საესებით მოითხოვს იმას, რომ რევოლუციურულ ჯარში ჩარიცხულთ, მიეცეთ არა მარტო პასიური უფლება, არამედ აქტიური უფლებაც.

რაც შეეხება მეხუთე მუხლს, აღმინისტრაციის მოსამსახურეებს, სწორედ ეს მუხლი დატოვებულია იმ რედაქციით, რომელი რედაქციითაც იყო შემოტანილი დამუშავებული კრების საარჩევნო კომისიის მიერ. მართალია, ყოველ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს მინიჭებული საარჩევნო უფლება, ყოველმა მოქალაქემ უნდა შეასრულოს თავისი უალრესი პოლიტიკური მოვალეობა და მიიღოს მონაწილეობა ისეთ დაწესებულებების შექმნაში, რომელმაც უნდა დაამყაროს და დააფუძნოს ერთგვარი წესწყობილება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ საერთო ინტერესი სწორედ მოითხოვს იმას, რომ აღმინისტრაცია, ისინი ვინც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს წესიერების დამყარებაში, საარჩევნო კომისიის დროს, სწორედ იმათ მსხვირბლი უნდა მიითანონ, რათა საერთო საქმე გაკეთდეს. და ამიტომ თითონ უარი უნდა განაცხადონ. ეს მათი მოვალეობა არის. ამიტომ ჩვენმა პარლამენტმა უნდა დასცინოს, აი ამ საარჩევნო დებულებების ძალით. რომ ვინაიდან ამ საარჩევნო კომისიის დროს ბრძოლა იქნება პოლიტიკური პარტიებთა შორის და ამ ბრძოლის დროს შესაძლებელია მოხდეს ბევრი უწყისობა, წესიერებას კი ამყარებს აღმინისტრაცია, მილიცია, დაწყებული გუბერნიის კომისარიდან, უკანასკნელ მილიციამდე, აი სწორედ თუკი მათ მიენიჭებათ საარჩევნო უფლება, როგორც აქტიური ისე პასიური, მაშინ ისინი წარმოადგენენ არა სახელმწიფო ორგანიზაციას, რომელმაც წესიერება უნდა დაამყაროს, არამედ ეს იქნება მონაწილე წარმომადგენელი რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფისა. თუკი ერთი მეორეს შეეჩაქა პარტიები, ასეთ შემთხვევაში განა ვის უნდა დაუქიროს მხარი მილიციელმა, რომელიც იზიარებს რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფის აზრს? ჩემის აზრით ის წესიერებას ვერ დაამყარებს. მაშასადამე სახელმწიფოებრივი ინტერესი, ეს უდიდესი ინტერესი, მოითხოვს იმას, რომ აღმინისტრაცია მოკლესული იყოს ამ საარჩევნო უფლებას. აღმინისტრაციის ის მოხელეები, რომელნიც თავის მოვალეობის ასრულების დროს, პირდაპირ უნდა ამყარებდნენ წესიერებას სწორედ ამ საარჩევნო კომისიის დროს. აღმინისტრაციის მოსამსახურეები არ შეადგენენ ისეთ დიდ ჯგუფს, რომ თუ ისინი ამ საარჩევნო კომისიაში მონაწილეობას არ მიიღებენ, ამითი არ შელახავენ მთელი ხალხის უფლებას. ჩემის აზრით თუ აღმინისტრაცია მონაწილეობას არ მიიღებს ამ არჩევნებში, არჩევნები უფრო წესიერად ჩატარდება, რადგანაც სწორედ საარჩევნო კომისიის დროს, აღმინისტრაცია უნდა იღვეს პოლიტიკის გარეშე, აი, ის მოსაზრებანი, რომელნიც მე მიწოდდა წარმომადგინა ჩვენი ფრაქციის სახელით.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ბ. გაბაშვილს.

რევაზ გაბაშვილი. (დამ. ერ.-დ.შ.) ბატონებო, როდესაც მოვისმინეთ მომხსენებელი, ბ. ლომთათიძე, ჩვენ გვიგონა, რომ ეს გაბლდათ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის აზრი, თუ შეხედულემა ამ დებულებებზე, სწორე გითხრათ, მაშინ მე პირადად ვიფიქრე, რომ ზოლოს და ზოლოს, ზოგიერთ საკითხში მა-



იქ სოციალ-დემოკრატიული პარტია გონს მოსულა. მაგრამ დღეს ბ. რუსიას გა მოსვლამ დაიარწმუნა, რომ ეს ყოფილა, როგორც ეტყობა, ბ. ლომთათიძის კერძო აზრი, და ფრაქცია სრულიად სხვა აზრს ადგია.

ბატონმა რუსიამ უარყო ის ერთადერთი საღი მოსაზრება, რომელიც შეეხება ზოგიერთ მუხლებს. მაგალითად იმას, რომ ჯარი, სამხედრო უწყება, არ იღებს მონაწილეობას ამ არჩევნებში. რუსიამ ეს ერთად ერთი საღი მოსაზრება ბ. ლომთათიძისა სრულიად უარყო, და გვითხრა, რომ ეს არის დროებითი მოვლენა, ვიდრე ჯარში არ დამყარდებულა დისციპლინა. მაგრამ, რა წმასაც დისციპლინა აღადგება, მაშინათვე დაადგება სოციალ-დემოკრატია იმ დისციპლინის დარღვევას, სააჩვენო უფლების ნიცივით. ის დემულებს, რომ ჯარში არ შეიძლება იყოს განხორციელებული პასიური და აქტიური არჩევნების უფლება, მხოლოდ დროებით, დღეს, როდესაც დისციპლინა არ არის—მომავალში კი, შეიძლება,—ყოვლად მიუღებელია. არც ერთ ქვეყანაში არ არის ასეთი უფლება, რომ ჯარი იღებდეს მონაწილეობას არჩევნებში; სწორედ იმიტომ, რომ ჯარი არის ის ძალა, ის ფიზიკური ძალა, რომელიც, თუ კი გაჰყვება რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, თუ კი გაჰყვება რომელიმე პოლიტიკურ მიმდინარეობას, მაშინ ყოვლად შეუძლებელია, გაიმარჯოს რაიმე სახელმწიფოებრივმა, ან სხვა ვადო პოლიტიკურ აზრმა, თუ მიმდინარეობამ, რაც უნდა იგი დემოკრატიული იყოს, რაც უნდა ცემდის მართალი იყოს იგი, ამიტომ ყველა ქვეყანაში ასეთი უფლება მოსპობილია.

მაგრამ ბ. რუსიამ უარესი ამბავი გვითხრა, როდესაც უარყოფდა იმ დებულებას, რომ აღმინისტრაციის მოსამსახურენი არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ. ჩვენ არ გამოუდგებით იმის მტკიცებას, რომ ეს უფორესი, ულტრა-დემოკრატიული მოსაზრება, რომ რეგულიციით მონაპოვარი უფლება უნდა ეკუთვნოდეს იმ მილიციელებს, რომელთაც მოიპოვეს იგი, რომ თუ არ მივე, (ით ეს უფლება, ეს ისეთი დასჯა არის, რომ ყველა მოქალაქეს შეაშინებს მილიციაში შესილა არის ისეთი სასჯელი, რომ მილიციაში აღარაინ შევა,—ეს არის (არცელი ლაპარაკი, ამას არავითარი ლოლიკური, გონიერი მოსაზრება საფუძვლათ არ უღივს.

ბატონებო, შეეღმა ქვეყანამ იცის, რომ აღმინისტრაცია, მილიცია, პოლიცია, რაც უნდა დაარქვათ ამ აღმინისტრაციულ აპარატს, ის თავის ფუნქციით, თავის შემადგენლობით, არის ისეთი აპარატი რომელიც უნდა იცავდეს სახელმწიფოს, იმ ხანაში, იმ მდგომარეობაში, რომელიცაა ის იმყოფება.

თქვენ ერთი მითხარით, განა შესაძლებელია, რომ აღმინისტრაციამ, რაც უნდა რეგულიციონური იყოს იგი, შესძლოს და თავი გადირჩინოს პარტიულ-ზეგავლენისაგან. აღმინისტრაცია, რომელიც უნდა იცავდეს წესიერებას, სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიების და პოლიტიკურ მიმდინარეობის შორის, ამას ვერ შესძლებს და კი ის მიიღებს მონაწილეობას ამ არჩევნებში და პოლიტიკაში, იგი ვერ იცავს წესიერებას, ვერ დაიცავს, საზოგადოდ, იმ ობიექტიურ პოლიტიკურ პირობებს, რაც საჭიროა რომ არჩევნები არ გადაიქცეს ერთიერთმანეთის საკლერ მდგომარეობათ, რომ ეს არჩევნები არ გახდეს სამოქალაქო ომად, რომლითაც ბატონი რუსია და მისგვარად მოაზროვნე ამხანაგები ყოველ დღე უჭრებს გვიქვდავენ.

რასაკვირველია დღეს უმრავლესობას შეადგენენ სოციალ-დემოკრატები. როდესაც მთელი აღმინისტრაციული აპარატი და მთელი მილიცია, თავიდანვე დაწყობილი, სულ მათ ხელშია, რასაკვირველია, ასეთი სამოქალაქო ომი მოსა-

ლოდნელი არ არის. ათასი საშუალება აქვთ სოციალ-დემოკრატებს, რომ ასეთი ანარქია, ასეთი საშოქალაქო ომი თავიდან აიცილინონ, და თავიანთი უმრავლესობა გაიყვანონ.

მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ სოციალ-დემოკრატია დროებითი მოვლენაა, მაგრამ სოციალ-დემოკრატებს უნდათ ყველა ჩვენი კანონები, ყველა ჩვენი მოვლენები დროებითად გახადონ, და თავის ბატონობა, თავის უბეზო ძალ-მომხრეობა, სახელმწიფოში დააყენონ სამუდამოდ და შექმნან ისეთი წესი, რომ აღმინისტრაციას, რომელიც დღეს მაგათ ხელში არის, საშუალება მისცენ რომ მან სამუდამოდ უზრუნველყოს სოციალ-დემოკრატების ბატონობა.

ბატონებო, თუ თქვენი მდგომარეობა, თქვენი პოლიტიკა მართალია და იგი ჭეშმარიტებას და ცხოვრებას შეეფერება, მაშინ ამას უაღრესად ციოდაც ცხოვრებაში გაიყვანთ, თუ იგი ყალბია, და მას ნიად-გე არა აქვს, მაშინ ვერაფერს ვერ გიშეგლით ვერც აღმინისტრაცია, და ვერც ის სახელმწიფო, რომელსაც თქვენ გინდათ, ლაპარაკით მაინც, ფესვები გაუშვაროთ.

თქვენ ამ აღმინისტრაციას ავალებთ იმისთანა საქმეს, რომელსაც შეუძლიან ცხოვრებაში დაგამარცხოს.

თქვენ საშუალება გაქვთ ებრძოლოთ ყველა პოლიტიკურ მიმდინარეობას, შექმნათ ანარქია და დააქციოთ მთელი ქვეყანა. (სიცილი) არც ერთ ქვეყანაში არ არის ასეთი მდგომარეობა, და რატომ გინდათ მაინც და მაინც რომ საქართველომ ორგანიზირებული რაღაც შექმნას. ამდენ ორგანიზაციას, ახალ-ახალ რაღაცების შექმნას, ალბად ორგანიზირებული რა... (კირილე ნინიძე: ორგანიზირებული პარტიებიც არის; ორი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიები).

აი, მე მგონია, როდესაც ამ დებულებას ამუშავებდნენ, ალბად ჰქონდათ თვალთხედვაში, ის მდგომარეობა, რომ აქ შეგეშინებინათ დამნაჯელები, რომლებმაც ომი გამოვიცხადეს. როდესაც გამოირკვა, რომ ომი შეიძლება არ იყოს, შეიძლება საქმე მოლაპარაკებით გადავდეს, ანთა ჯარაც დაავიწყდათ დისციპლინაც: ეს ჩვეულ რიგი მოვლენაა, რომ ჩვენი სოციალ-დემოკრატიის ცხოვრებაში ყოველ დღე, ყოველ მომენტს, თუ რაღაცა მოხდა, მაშინ გაირაზმებიან, მაშინ დაუკვირდებიან, მაშინ მოავონდებთ ჯარი და ყოველი ამისთანა. მაგრამ ამ შემთხვევაში, თუ ერთი ბეწით შეჩერდა, თუ საფრთხე არ მოეღის, მაშინ სრულიად დაავიწყდებათ ჯარი, დაავიწყდებათ დისციპლინა და ამისთანა აზრებს, თუ არ ვიცე რა დავარქვა, ამისთანა წინადადებებს მოგვეყენენ, როგორც მოგვცა ბ რუსიამ, და ამას გაამართლებენ იმითი, რომ იტყვიან ეს რევოლუციის მონაპოვარიაო. (სიცილი) ეს, ბატონებო, იმაზედ, რაც აქ ბრძანა ბატონმა რუსიამ.

რაც შეეხება საზოგადოდ ამ დებულებას, ზოგიერთი მართლა იმისთანა ადგილებია, რომელსაც ჩვენ ვერასოდეს ხვას ვერ მივსცემთ. აი მაგალითად. აქ არის ნათქვამი, რომ კომისიები, რომლებიც შეადგენენ ამ დამფუძნებელი კრების არჩევნებს, იქნებიან შედგენილნი იმ სახით, რომ იქნება ამორჩეული თავმჯდომარე ქალაქისა და სხვა თვითმართველობისაგან, და ეს თავმჯდომარეები მოიწვევენ სხვა და სხვა პოლიტიკურ ჯგუფის წარმომადგენლებს, ძალთა განწყობალების მიხედვით. ეს, ბატონებო, ისე რომ ვილაპარაკოთ დემოკრატიულ ენაზედ, გამოდის, ვითომ გაბატონებული სოციალ-დემოკრატია, ისეთი გულუბნევი ბრძანდება, რომ სხვა დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებს აძლევს უფლებას მონაწილეობა მიიღონ ამ კომისიებში. მაგრამ შინაარს რომ ჩაგხედოთ, ეს ისეთივე სიყალბეა, ისეთივე სრული მოსპობა სხვის უფლებისა, როგორც მოხდა



ფაქტიურად ერობის ყრილობაზე. მართალია, სოციალ-დემოკრატები ყველას უამბობენ მოლა-მასრაღინას ზღაპარს, რომ 90% მისდევს მას და მერე თითონ დიჯერეს ეს ზღაპარი, მაგრამ, ფაქტიურად კი, პირველ ეროვნულ ყრილობაზე მოხდა ისეთი ამბავი, ჩაიდინეს ისეთი სიყალბე, რომ თუმცა ამ ეროვნულ ყრილობის ნახევარს, რომელმაც აირჩია ეს პარტიკულური კრებული შემარჯვენებს შეადგენდნენ, მაგრამ იმის და მიუხედავად ნახევარის მაგივრად, მათ მიაკუთვნეს მხოლოდ ცხრა, თუ ათი ხმა მაშინ, როდესაც ესერებს,—რომელნიც მთელ საქართველოში და ამ ყრილობაზე შეადგენდნენ მხოლოდ ათ კაცს, მათ ათსევე მისცეს ხმის უფლება და დღეს ისინი აქ არიან (ტაში).

აი, ბატონებო, ეს იყო ის ძალთა განწყობილება, რომელიც შეჭმნა რევოლუციამ. (ტაში).

მაგრამ ეს ძალთა განწყობილება კი არ არის, ეს ძალთა განწყობილება კი არ იყო, ეს იყო უბრ-ლო ძალ-მომრეობა. დღეს, როდესაც ისეთი მდგომარეობა არის, როდესაც ძალმომრეობით ხანდახან შეუძლიანთ გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატები, მიუხედავად ამისა, რომ იგი სახელმწიფოს სათავეშია და არა რომელიმე მითინგზედ, ჩვენ გვაძლევენ ისეთ კანონს, რომ თავმჯდომარე იწვევს ძალთა განწყობილების მიხედვით სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებს საარჩევნო კომისიებში. ერთი მითხარით,—რატომ მარტო სოციალ-დემოკრატებს შეუძლიან იყოს აღჭურვილი ისეთი მაღალი ზნეოებით, ისეთი მტკიცე სასიათით, რომ მან ყოველ ქალაქში და სოფელში, ობიექტიურად და არა იმის შეხედულებით, ძალთა განწყობილების მიხედვით, შესძლოს სხვა და სხვა პარტიათა წარმომადგენლების მოწვევა?

ბატონებო, ასეთი შეხედულება ძალთა განწყობილებაზედ, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით. მაგალითად ჩვენ ვიცით აზრი ბ. ირაკლი წერეთლისა, რომ არავითარი სხვა მიმდინარეობა, არავითარი სხვა ჯგუფი, არავითარი სხვა პარტია არ არსებობს საქართვ. ლოა სახელმწიფოში, გარდა სოციალ-დემოკრატიისა. და, აი რომ ის მოხვდეს სადმე თავმჯდომარედ,—რა შეხედულობის უნდა იყოს, ის ძალთა განწყობილებაზე, რომ ვინმე მოიწვიოს? რასაკვირველია, ჩვენ ეს იმედი არ გვაქვს. აი, ასეთი მდგომარეობა არის და ყოველად შეუძლებელია, რომ ამას ხაზი არ გაუსვათ, ყოველ შემთხვევაში, არ აღვნიშნოთ ისტორიაში, რომ აქ, თვალთმაქცობა არის, თქვენ არსებითად შეცდომაში შეგვავთ ქართველი საზოგადოება, ვითომც და უვლებას ანიჭებთ სხვა და სხვა პარტიებს, სხვა და სხვა ჯგუფებს, რომ მათ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში.

მეორე ადგილი, რომელიც აქ არის, ამ დებულებაში, ეს განხლავთ, ბატონებო, ჰასაკი. მიღებული არის აქ 19 წ. ჰასაკი. რამდენადაც მე ვიცი, არც ერთ ქვეყანაში არ არის ასეთი პატარა წლოვანობა, როგორც აქ. 19 წელი არ არის მარჯვენებელი პოლიტიკური სიმწიფისა, რომელიც უნდა უძლიერდეს წინ არჩევნებს და არჩევნების მომზადვ. ას. და აქ, ჩვენში, შემოაქვთ ასეთი მოსაზრება, რომ იყოს 19 წელია. მაოთალა ის, რომ სამხრეთ ქვეყნებში საზოგადოლო ჰასაკი უფრო დაბალი არის, და ადამიანი უფრო მალე არის მომზადებული პოლიტიკურ, თუ სხვა ფუნქციებისთვის. მაგრამ, ჯერ ერთი, არსად არ არის დამტკიცებული და გამოკვეთული, რომ საქართველო ასეთ ხანას განიცდის, რომ 19 წ. ესე ვთქვათ ბავშვები, უკვე იმდენათ არიან მომზადებული, რომ შეუძლიათ განაგონ ქვეყნების ბედი. ჯერ დღეს, როდესაც მე უსმენ ზოგიერთ სოციალ-დემოკრატიულ ლიდერებს, მაგონდება ხოლმე სკოლა, და თუ ასეთი გზა მივიღეთ, და თუ დადგა ისეთი დრო, რომ ჩვენ პარლამენტში სულ 19 წლ. მოხვდებიან,—მაშინ ეს პარლამენტი კი არ იქნება,—ეს იქნება საბავ-



შვო ბალი, და ამ საბავშვო ბაღში გადასწყდება ისეთი უდიდესი პოლიტიკური საკითხები... (ხმა სოც. დემ. მხრივ: „ამხანაგებს იშოვით“!).

ენლაც მყავს ოქვენისთანა ამხანაგები, სამწუხაროდ!

ეს 19 წ. ჰასაკი არაფრით გამართლებული არ არის. არ ვიცო, ესეც გამოდინარეობს დემოკრატიულ და სხვა უმაღლეს მოსაზრებიდან თუ არა, მაგრამ სხვა არავითარი დასაბუთებული მოსაზრება არ მოუყვანიათ არც მომხსენებელს, არც სხვა პარტიის ორატორებს.

აღნიშნულია, რომ ჰასაკი არის 19 წ. მართალია, გვყავან ისეთი მოღვაწეები, რომლებიც 19 წ. არც კი ყოფილან როცა უთქვამთ საქართველოზე: „მე შენიზელება მისი აწმყო, და მძაგს მის წარსულიო“. მაგრამ ასეთი გენიოსები 19 წლის გენიოსები, რომელნიც ასეთ აზრს გამოსთქვამენ, ბევრი არ გვყავს. ამიტომ, მე ვამბობ, რომ ჰასაკი 19 წ. არაფრით არ არის დასაბუთებული, და სრულიად არ შეეფერება იმ მაღალ დაწესებულებას, რომელიც იქნება დამფუძნებელი კრება სრულიად საქართველოსი.

თითონ ბ. მომხსენებელმა სთქვა, — ალბათ ამაზედაც იფიქრა იმის შემდეგ რაც ჩვენმა კონტრ-რევოლუციონურმა ფრაქციამ ვითხრათ, — რომ ჩვენი ქვეშევრდომობის კანონი არ შეეფერება სინამდვილეს და არსებულ მდგომარეობას, — რომ ჩვენ შევეძლიან საქართველოს სახელმწიფოში გამოვარკვიოთ ნათლად, თუ ვინ არის საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომი. როგორც სჩანს სოციალ-დემოკრატია ამაზე ჰუიქრობს და მომხსენებელმა გვითხრა, რომ ქვეშევრდომობის კანონი საქართველოს განმარტებას, რადგანაც არსებული განმარტება ფაქტიურად მიღებული არ არის. რადგანაც ქვეშევრდომობის კანონი არა მარტო ამ გვაქვს განმარტებული, არა მარტო ნამდვილათ არ ვიცით, ვინ არის ჩვენი ქვეშევრდომი, — არამედ, ისეთი უცნაური ინციანდენტები ხდება, რომ მაგალითად, თითონ ჩვენ პარლამენტში, აი, აქ, სამწუხაროდ, არიან უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლები, რაკი საქართველოს ტერიტორიაზე სცხოვრობენ ისინი. და როდესაც ჩვენ ამას აღვნიშნავთ, ამაზე ბ. თავმჯდომარე შენიშვას გვიკეთებს ხოლმე.

ასეთია მდგომარეობა. თქვენ აკეთებთ ისეთ კანონს, რომელშიაც არ არის ნათლათ ნათქვამი, და გარკვეული, რომ მაოლოდ და მხოლოდ საქართველოს მკვირ მოქალაქეებს, საქართველოს ქვეშევრდომებს შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ საქართველოს დამფუძნებელ კრების არჩევნებში.

ამის გარდა არის კიდევ ერთი მუხლი. მე ბოდიშს ვიბდი, რომ სწორეთ არ ვიცი, რომელი მუხლია ის, სადაც არის ნათქვამი... მეშვიდე მუხლში გახლავთ ნათქვამი, რომ (კითხულობს) არჩეული, რომ იქნას, იმის უფლება იმ პირსაც აქვს, რომელიც სრულედათ არ არის შეტანილი სიაში.

ეს მუხლი ისე უნდა გავიგოთ, რომ პასიურა უფლება, არჩევის უფლება, ესე იგი არჩეული შეიძლება იყოს ისეთი პირი, რომელიც არ არის შეტანილი ერთათ ერთ საარჩევნო სიაში. თუ ეს მუხლი დარჩა, — მაშინ ყველა უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელი, ან ყველა ისეთი პირი, რომელიც შემთხვევით არ არის შეტანილი ასეთ შიაში, ან შეიძლება განზრახ არ არის შეტანილი, — იქნება არჩეული.

დამფუძნებელ კრებაში ამიტომ, ჩვენი მოსაზრებით, რომელიც მე მოგახსენეთ, ეს შემვიდე მუხლი უნდა იყოს შეცვალდი.

ყველა ამ მოსაზრებით, მე მგონია, რომ ამ დებულებას იმდენი ნაკლი აქვს, იმდენი გაუპოვარეველი მიმდინარეობა, რომ იგი უნდა იყოს ხელმეორედ გადასინჯული.



ასეთი წინადადება შემოგვაქვს ჩვენ, რასაკვირველია, ჩვენ წინ და წინ ვიცით, რომ ამას არ მიიღებთ, მაგრამ მაშინ, ჩვენ ვილაპარაკებთ იმ დროს, როდესაც გადავალთ მუხლობრივ განხილვაზე.

თავმჯდომარე. პარლამენტის წევრი არილ ჯაჯანაშვილი.

არჩილ ჯაჯანაშვილი (ს.-ფ.). ბატონებო, ნელ-ნელა, მაგრამ დაკინებულ სისტემით, ჩვენი ქვეყანა უახლოვდება იმ დროს, როდესაც საბოლოოთ უნდა ჩაეყაროს საფუძველი უფლებრივ წესწყობილებას.

დამფუძნებელი კრება, ეს ისეთი კრებული უნდა იყოს, რომელმაც უნდა განამტკიცოს ჩვენი რესპუბლიკა, ჩვენი დამოუკიდებლობა.

ადილიათ შესაძლებელია, დამფუძნებელ კრებამ რეალური ძალთაგანწყობილება პარლამენტში შესაძნელებათ არც კი შესცვალოს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, დამფუძნებელ კრებას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

თქვენ გახსოვთ, რას ამბობდნენ ხოლმე ყოველ დღეს ჩვენი მტრები: ვინ ხართ, რომ შეკრებილხართ, ვინ აგჭურვავთ უფლებით, გამოგიცხადათ ხალხმა ნდობა თუ არა?

ჩვენ ვიცით, რომ ხალხი, არა თუ იმ სახით მოსდევს ამა თუ იმ პარტიას, მაგრამ, ამის და მიუხედავად, მაინც ჩვენს მტრებს ეძლევათ საშუალება სთქვან-რომ დღევანდელი პარლამენტი, დროებითი არის, პარლამენტი არა გამოხმატ, ველი ხალხის ნება-სურვილისა.

დამფუძნებელ კრებამ უნდა დაადასტუროს, თავის ვოტუმით, ნდობა უნდა გამოუცხადოს, და დაადასტუროს ყველა ის, რაც გააკეთა დღემის ჩვენმა პარლამენტმა. მაგრამ, თუ გვინდა, რომ ეს ხალხის ნდობა გამოხატული იყოს თავისუფლად, საჭირო არის რომ თვით დამფუძნებელ კრების არჩევნები სწარმოებდეს ისე, რომ არავითარა ძალადობის ნასახს ადვილი არ ჰქონდეს.

ვინც ოვალყურს ადევნებდა ობიექტიურათ, იმას, თუ როგორ სწარმოებდა არჩევნები ჩვენში, დამეთანხმება, რომ ჩვენი ხალხი ჯერ-ჯერობით გაწვრთნილი არ არის ამ საქმეში, არ აქვს გათვალისწინებული ძალა, და მნიშვნელობა არჩევნებისა. მას ვერ წარმოუდგენია, რომ ის აქტიური მონაწილე არის დიდი სახელმწიფოებრივი მუშაობისა. იგი ხშირად ბრმად მისდევს იმას, ვინც უკარნახებს ამა თუ იმ მდგომარეობას. დემოკრატიის ვალი არის თვითველ მოქალაქეს ღრმად ჩაუნერგოს, რომ იგი აქტიური მონაწილე არის სხეულმწიფოებრივი შენებისა, და მოქალაქეც უნდა გაიმსჯელოს იმ მოსაზრებით, რომ მისი ხმა-არის ხმა აქტიურ მოქალაქისა. ეს შეგნება ჩვენ ხალხს აკლია. დამფუძნებელ კრების საორჩევნო კომპანიამ ამ მხრივ დიდი კორექტივი უნდა შეიტანოს ჩვენს ცხოვრებაში, და ხალხის აღმზღელობის როლი შეასრულოს ამ არჩევნებში თუ აღმინისტრაციას ჩვენ აქტიურ და პასიურ საორჩევნო უფლებას მივანიჭებთ მაშინ ჩემის აზრით ყოვლად შეუძლებელი გახდება ხალხის ნება სურვილის თავისუფლად გამოხატა.

აღმინ სტრაციის ფსიქოლოგიური თვისება თავისთავათ ისეთი არის, რომ თუ ის დაინტერესებული არის არჩევნებში, ყოვლად შეუძლებელია, რომ ერთ-გვარი ძალა არ იხმაროს ამ არჩევნებში, და რას იტყვი თქვენ მაშინ, როდესაც რაიონის კომისარს, სოფლის კომისარი დეპუტატად ასარჩევი კაცია, რას იტყვი თქვენ, როცა მაზრის კომისარს ეცოდინება, რომ გუბერნიის კომისარი დეპუტატად ასარჩევი კაცია; ვერ დავიჯერებ, რომ მაზრის კომისარი ისე, როგორც სოფლის რაიონის კომისარი, არ აცდებიან თავის გუბერნიის კომისარი, რომეთიც ასარჩევია, აუცილებლათ გაიყვანონ დაჰუტატად. ეს ყოვლათ შეუძლებელია, მთავრობამ, კიდევაც რომ არ უბრძანოს, ისინი მაინც ასე მოიქ-



ცევიან, ფსიქოლოგიურად ეს მაინც მზღდება. თუ გინდათ, რომ ასე არ მოხდეს, თუ გინდათ, რომ მტრებმა ეს თქვენი იარაღი თქვენ წინააღმდეგ არ გამოიყენონ,—მიიღეთ ყოველ-გვარი ზომები, რომ ხალხის მიერ გამოთქმა თავის ხე-ბისყოფის, მართლა თავისუფალი იყოს, აბსოლუტურად თავისუფალი.

ამ მოსაზრების ძალით, მე მგონია, რომ ის მუხლი, რომელიც შემოიტანა იურიდიულ კომისიამ უარყოფილი უნდა იყოს.

თავმჯდომარე. წესრიგისათვის პარლამენტის წევრი ლორთქიფანიძე.

იასონ ლორთქიფანიძე. ბატონებო! მე მხოლოდ წესრიგისათვის გამოვე-დი ამ ტრიბუნაზე.

საქმის სასარგებლოდ და დროს და ეკონომიის დასაცავად, საჭიროა, რომ მიმართოთ იმ წესრიგს, რომელიც პარლამენტშია დამყარებული.

კანონ-პროექტის პირველ წაკითხვის შემდეგ,—შეიძლება, მხოლოდ, საერთო მსჯელობა, და არა მუხლობრივი განხილვა. ხოლო თუ ჩვენ ჩვენს ჩვეულებას დავადგებით, გამოვა ის, რომ რიღესაც მუხლობრივ განხილვას დავიწყებთ —ყოველი ფრაქციის წარმომადგენელი, ყოველი ორატორი გამოვა, და დიფიყებს ხელახლად მსჯელობას.

ამიტომ, ჩემი წინადადება არის, რომ მხოლოდ, საერთო მსჯელობა იქონი-ნოთ ამ კანონ-პროექტის განხილვის დროს. და თუ ეს აზრი იმდენათ უღა-ვია, რომ არავითარ წინააღმდეგობას არ გამოიწვევს, გადავიდეთ პირდაპირ მუხლობრივ განხილვაზე.

თავმჯდომარე: რასაკვირველია, ყოველ ორატორს უფლება აქვს, რომ საერთო კამათის დროს, თვითიველ მუხლს შეეხოს, ამიტომ, მე არავითარი შე-ნიშვნა არ მიეცი ორატორს.

პარლამენტის წევრი კედია სპირიდონ.

ხშირიდან კედია. (ერ. დემ.) ბატონებო, ჩვენ წინ მეტად მნიშვნელოვანი საკითხი სდევს. უნდა შეიზუსტოთ ისეთი დებულებანი, რომელიც საქართველო სახელმწიფოებრივი ფორმის შემოწმებას და შექმნას,—ჩაუყრის მტკიცე საძირს კვილს. ამ უკანასკნელ ხანში ისეთი ამბები მოხდა, რომ ადამიანი ჰკარგავს უნარს დაკვირვებისას, და, მაშასადამე, თვით მოვლენების ჯგროვან შეფასების უნარსაც კი. ეს რომ არა, ის საუბერი, რომელზედაც ჩვენ ვდგევარ, და რომელზედაც უნდა ავიდეს მთელი ქართველი საზოგადოება, ქართველი მოაზროვე-ნი საზოგადოება,—უნდა მეტი ყურადღების, მეტი მსჯელობის საგანი ყო-ფილიყო.

აქამდისინ საქართველო მოვიდა მკირე უმცირესობის ინიციატივის, თა-ოსნობით და მათი მოღვაწეობის შენწყობით. ამიერიდან, საქართველოს სა-ხელმწიფო უნდა შექმნას თვით საქართველოს ხალხმა.

სრულიად იცვლება საძირკველი, სრულიად იცვლება მეთოდი მართვა-გა-მგობისა და აი ამ კანონ-პროექტის შექმნის დროს, ვიმეორებ, უნდა ჩვენმა საზოგადოებამ, მეტი თვით მოქმედება და გონიერება გამოიჩინოს. ამის ნაცვ-ლად ეს საკითხი, დამუფძნებელი კრების მოწვევის დებულების შემოწმებისა, ჩვენ პრესაში არც კი ყოფილა გამოტანილი. ამ საგანზე მსჯელობა არ ყოფი-ლა არც ხალხში, არც ხალხის მესეფურებში და მოწინავე საზოგადოების ნაწი-ლებში. ეს კი აშკარად, მიუცილებლად საჭირო იყო. საჭირო იყო იმისთვის, რომ ეს ახალი ფორმა, რომელიც ჩვენ უნდა გავატაროთ, ყოფილიყო ყოველ მხრივ გათვალისწინებული. შესწავლილი და დიდ შესწავლის შემდეგ, არჩეული. ამისთვის აუარებელი მასალაა.

ეგ საარჩევნო უფლება ახალი მოვლენა არ არის, ამას ხანგრძლივი ისტორია



ა ქვს. და ის, ვინც იკისრებდა სახელმწიფოს აღმშენებლობის დროს ამ დებუ-
 ლების შექმნას, ვალდებული უნდა ყოფილიყო გაეწია ანგარიში იმ პე-
 რიპეტუალისთვის. რომელიც უკვე გამოიარა საარჩევნო უფლებამ სწორად და
 პოლიტიკურ ცხოვრებაში.

როდესაც უკვე დები ამ კომისიის მუშაობას და ნამუშევარს, რომელმაც
 ჩვენ წარმოგვიდგინა ეს დებულება, ჩვენ სამწუხარო დასკვნამდის მივდივართ.
 ეს დასკვნა გახლავთ ის, რომ ასეთიანი მუშაობა, ასეთიანი ძიება არა ჰქო-
 ნია კომისიას. ვიმეორებ, ეს აუცილებელი იყო, რადგანაც ამ გრძელ ისტორი-
 აში, რომლის განმავლობაში ეს საარჩევნო უფლება გამოვიდა, კანონმდებელი
 პოვებდა აუარებელ მასალას, რომელიც ამ კანონმდებელს, დებულების წერის
 დროს, თავის საკუთარ ქვეყნის სინამდვილეში ჩაახედებდა.

საარჩევნო უფლების ისტორიაში, ქვეყნის საარჩევნო უფლების ისტორი-
 აში მოგვხსენებთ, არის სხვა და სხვაიანი წესი არჩევნებისა. არის სათვი-
 თეულო არჩევნები, რომელიც დღეს შენობებული არის და არსებობს, მაალი-
 თად, გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში. გახლავთ საერთო არჩევნები, რო-
 მელიც არსებობს, მაგალითად, შვეიცარიაში, შვეიცარიაში. სერბიაში, ბულგა-
 რეთში, არის მაკორიტარული სისტემა არჩევნების, არის არჩევნები პროპორ-
 ციული. აი მთელი სხვა და სხვაობა, რომელისთვისაც უნდა ანგარიში გაეწია
 ამ კომისიას, რომელმაც შეადგინა ეს დებულება.

და როდესაც ყველა ამ სხვა და სხვაობას ანგარიშს გაუწვიდა, მას
 შეეძლო დაეახლოვებინა ეს გაქანებული დემოკრატიული იდეალი არჩევნებისა
 საქართველოს სინამდვილესთან, — აი ამ ორ მომენტს ერთიერთმანეთთან დააბ-
 ლოვება კომისიას შეეძლო, რომ ჩვენთვის მიინც, ჩვენ ცხოვრებათან უფრო
 შეთანხმებული და შეთანხმებული დებულება შეექმნა

საჭიროდ მიმაჩნია დავსძინოთ, რომ მასვლა ამ დემოკრატიულ საარჩევნო
 უფლების იდეალების განხორციელებამდის ხანგრძლივი მოქმედების საგანი,
 არის. თუ დააკვირდებით, თვით ხალხთა სტიქიურ განვითარებას და ცდას პო-
 ლიტკურ ცხოვრებაში იგი უთუოდ ამ გზით მიდის, უთუოდ ამ გზადან იმას
 ვერავინ ვერ გადააყენებს, მხოლოდ საბოლოო მისვლის მხრივ ეს იდეალი აუ-
 ცილებლად უზრუნველყოფილია, იმიტომ რომ ცხოვრების წიაღში ჩამარბულია
 და მის შეცვლა ყოველად შეუძლებელია. მაგრამ კანონმდებლის მუმივი ფიქ-
 რი, ის უნდა იყოს რომ ეს საბოლოო იდეალური ფორმა ამ არჩევნებს, დაუ-
 ახლოვოს სინამდვილეს, რომ ამ ორთა შორის, სინამდვილის და ფორმის შო-
 რის, არ მოხდეს კატასტროფიული შეჯახება და ქვეყანა არ დაიღუპოს. ჩვენ
 ვიცით, რომ ქვეყნის ჯურღბულში გადაჩეხა შეუძლიან დაქანებულ დემოკრატიულ
 იდეალს, ის, როგორც ის შეუძლიან აბსოლუტიურ წყობილებას. და ამაზედ უნდა
 ფიქრობდეს ყოველივე კანონმდებელი, იმაზედ უნდა ფიქრობდეს, რომ მოახდინოს
 ამ ორ მომენტის დაახლოვება, და ამ ეკვილიბრის გამოქმნა დღევანდელ პი-
 რობებსა, იდეალის განხორციელების შორის, აი რა უნდა იყოს მუდმივი სა-
 ძიებელი საგანი ყოველი კანონმდებელია.

როდესაც მე ამ დებულებას ამ მხრივ მიუღებები და განვიხილავ, ვრწმუნ-
 დები, რომ იგი არ მიუღიათ სახეში.

ეს დებულება მოკლებულია იმ აუცილებელ საჭირო თვისებებს, იგი წარ-
 მოადგენს პირდაპირ თარგმანს, ეგ თარგმნილია იმ დებულებიდან, რომლის ძა-
 ლით უნდა არჩეულიყო, რუსეთის დამფუძნებელი კრება. მაშასადამე, ჩვენმ-
 კომისიამ ამ მხრავ არავითარი ისეთი თვითმოქმედებითი, შემოქმედებითი მუ-
 შაობა, ამ დებულების შედგენის დროს არ აწარმოა, არ მოახდინა. მაგრამ



ვიმეორებ, მიზნისთვის ეს შეიძლება მეტათ სახიფათო იყოს. ჩვენი დებულება, რომელიც აქ წარმოდგენილი არის, წარმოდგენილი უკვე ქალაქდზე, წარმოადგენს სრულიად განხორციელებულ იდეალს საარჩევნო ცხოვრებაში. აქ არის წარმოდგენილი, მაშასადამე, ერთი ოლქი—მაშასადამე მთელი საქართველო.

ეს ისეთი მომენტი, ბატონებო, ამ დებულებაში, რომელიც თავის მსგავს იშვიათათ ჰპოვებს სხვა და სხვა სახელმწიფოს ცხოვრებაში. თუ არ ვცდები ანაირი წესი ამ ერთი საარჩევნო ოლქის წესი მხოლოდ განხორციელებული არის და შემოღებული ისპანიაში—ტოსკანიაში.

სხვაგან კი, ისეთ ქვეყნებში, რომელთაც ქონიათ ისტორიულად და ტრადიციულად თავის საკუთარ სიაში გამოიწვევებული საყოველთაო საარჩევნო უფლება, იმგვარ ქვეყნებში, რომელსაც ისტორია აქვს, აქვს წარსული და ტრადიციის ძალა აქვს, ანგვარ ქვეყნებში ასეთი სისტემა, ასეთი მაგალითი არსად მოიძებნება.

მე ვიცი, მე ვეუქრობ, რომ აი, ჩვენ დებულებისთვის ეს უსათუოდ ნაკლია, და ნაცვლად ერთი ოლქისა, ერთი საარჩევნო ოლქისა უნდა იქნეს შემოღებული რამდენიმე საარჩევნო ოლქი.

უნდა გავიმეორო, რომ აის შესახებ ჩვენ პრესაში კამათი არც კი ყოფილა ამ დებულებას პირდაპირ მივადექით.

უკანასკნელ დღეებში დაიწერა ბ. თუმანიშვილის ერთი თუ ორი წერილი, გასეთ *Грyзия*-ში. მე არავის არ ვხედავ პარლამენტში ისეთს, რომელიც ბ. თუმანიშვილის და მისი პოლიტიკის, მის საზოგადო შეხედულების მიმდინარეობის გამოხატველი იყოსადა დაიცვას ის რაც გახეთ *Грyзия*-ში დაიწერა. ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია შეეჩრდე ამაზედ და გამოვიყენოთ ის, რაც მაგათ გახეთში არის გამოთქმული.

ზოგიერთი მუხლები და მოსაზრება, რომელიც წინ უძღვის ბ. თუმანიშვილის წერილებს, მე პირადად მიუღებლად მიმაჩნია, და არ შეეფერება თანამდროვე შემეცნებას საარჩევნო უფლებაზე. მაგრამ მეორე, ის მომენტი კი რომ ხალხის წარიმადგენელი რომელმაც უნდა შეიმუშავოს მუდმივი ფორმა საქართველოს სახელმწიფოსი, უნდა იყო გამოხატველი, იგი იყოს დაკავშირებული ხალხთან მე მგონია რომ ეს დებულება უსათუოდ სახეში მისაღებია, და შესაძლებელია მხოლოდ მრავალ ოლქიანობის შემოღება. ჩვენ თუ ამ გზას დავადგებით, და ხალხის წარმომადგენლებს დაუკავშირებთ, თვით ხალხს მის წრიდან ავიყვანთ მათ ეს იქნება ჩემის აზრით, დიდი შესწორების და კორექტივის შეტანა ამ დებულებაში.

შემდეგ, როდესაც ჩვენ ვაკვირდებით იმ ორგანიზაციას, რომელმაც უნდა განახორციელოს და მოახდინოს ესარჩევნები, ჩვენ აქაც, სამწუხაროდ, ვხედავთ იმ გარემოებას, რომ კომისია, რომელმაც დაამუშავა ეს დებულება, ვერ ამაღლებულა სათანადო შეგნებადის, რომ შეექმნა ისეთი ორგანიზაცია, რომელიც რამდენად, ეს შესაძლებელია დღევანდელ რეალურ ცხოვრებაში, განთავისუფლებული იქნებოდა პარტიულ კვებებისაგან კომისია ვერ ასულა იმ სიმაღლემდის, საიდანაც აღარ მოსჩანს პარტიული სულისკვებება. ეს კი მიუცილებელი იყო. თუ ჩვენ გვინდა რომ ყოველი ამომრჩეველი, იმავე დროს ყოველი პოლიტიკურ პარტიის დამცველი ყოველიყო დარწმუნებული იმაში, რომ ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობს აი, ამ საარჩევნო მუშაობას, შემდგარი არის მიუდგომელ, უფრო გარეშე მდგომ პარებისაგან, და ამიტომ იქ არავითარ გადაწონ-გაღმწონას ადგილი არ ექნება. ეს კი მიღებულია ბევრ ქვეყნებში და



ჩვენც საჭიროდ ვრაცხთ,— რომ ჩვენი მომავალ არჩევნების დროსაც ამგვარი ორგანიზაცია ყოფილიყო შენობიერული. აქ სამაზრო საარჩევნო კომისია, ჩემის აზრით, ის კომისია არის, რომელიც ამ საარჩევნო მუშაობას და პრაქტიკას პირდაპირ სათავეში უდგას, ხელმძღვანელობს. ამ დებულების თანახმად, როგორც მე-12-ე მუხლშია აღნიშნული. სამაზრო კომისიას ადგენს სამაზრო ქალაქის თვითმმართველობის გამგეობა, რომელიც თავის წრიდან ირჩევს თავმჯდომარეს, ეს უკანასკნელი კომისიას ადგენს მაზრაში ყველა მომჭმედ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელთაგან ძალთა განწყობილების მიხედვით.

აქ უკვე გამოითქვა ერთნაირი შენიშვნა ამ საკითხზე, და მე საჭიროდ არა ვცნობ დაუბრუნდე ამას. მაგრამ მე უნდა ვსთქვა, უნდა დავასვენა, რომ ასეთნაირი ტიპის საარჩევნო სამაზრო კომისია, ხალხში ნდობას ვერ დაიმსახურებს.

აღინიშნა აქ ისიც, რომ ამ დებულებაში გატარებული იყო ერთი აზრი, რომელიც მეტის მეტად სუბიექტურად შეიძლება განიყენონ, და ამით მოწინააღმდეგე პარტიის ნდობა ვერ დაინახებოდა, ეს არის ბატონებო, იმ ძალთა განწყობილების შეფასება, კომისიის ერთი რომელიმე წევრის მიერ.

მე ვფიქრობ, რომ ეს მიუღებელი არის. მე მექნება საბუთი და ყოველივე პარტიის წარმომადგენელს ექნება საბუთი იფიქროს, რომ თუ პარტია ერთი პარტიის კაცი იქნება ამ ძალთა განწყობილების შემფასებელი, ჩემი ინტერესები უთუოდ ჩაწიხლული იქნება, და ჩემი უფლება შეწირული. რომ ეს არ მოხდეს, რომ მორალური სიმშვიდე იყოს პარტიებში, საჭიროა, რომ კომისია შესაძლებლად პარტიათა გარეშე მდგომ პირებისაგან. (ივეგნი გეგეკორი: ვისგან?) ამაზედ ვილაპარაკებ, როცა გადავალთ რუხლობრივ განხილვაზე.

კიდევ ჯარის საკითხი იწვევს ჩვენს ყურადღებას. როგორც აქ აღინიშნა უკვე, ჯარი გამოცხადებულია, როგორც ისეთი ძალა და ორგანიზაცია, რომელიც უნდა იდგეს გარეშე პოლიტიკისა. მაშასადამე, ეს დებულება ჩვენ მივიღეთ თავიდანვე, დავაკანონეთ.

ესლა სხვა კერძო გარემოების შემთხვევით, ჩვენ ისეთი ახალი კანონი, ახალი წესი არ უნდა შემოვიღოთ, რომელიც ამ მიღებულ ძირითად დებულებას გააბათილებდეს. ჯარი, როგორც ერის დაცვის იმედი, უთუოდ პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს. და იმეც ჯარში მსახურობს, იმას არ უნდა ჰქონდეს უფლება მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, არც აქტიური და არც პასიური. ჯარის კაცმა და მისმა უმფროსებმა, იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ისინი მსახურობდნენ უნდა იცოდნენ, რომ იმის საფასურში, რომ ხალხი, ქვეყანა და სახელმწიფო მათ ხელთ თავის ძალას აძლევს, ყოველთვის მას უფლის და საფასურში ის მოვალე არის, ვალდებული არის დადგეს აი, ამ ყოველდღიურ, პოლიტიკურ შეხლა-შემოხლის გარეშე და მხოლოდ ფიქრობდეს ამ სახელმწიფოს მტრების მოგერებაზედაც.

ჯარის-კაცის ფსიხოლოგიაში და ოფიცრის ფსიხოლოგიაში მთელმა ჩვენ კანონმდებლობამ, მთელმა ჩვენმა საქმიანობამ უნდა სწორედ ის აზრი შექმნას, რომ ჯარის კაცი და ჯარი, ეს არის ერთნაირი უმაღლესი ძალა, რომელსაც მიმართავს სახელმწიფო გაპირვების დროს, და ამიტომ ის ამ პოლიტიკურ ბრძოლის გარეშე უნდა დადგეს,— ეს უნდა აღმოიკვეთოს ჯარის ფსიხოლოგიაში. და უნდა აღდგეს ის იდეა, უზენაესი იდეა სახელმწიფოს დაცვისა.

როცა ეს იდეა ჯარის კაცის ტვინში კარგათ იქნება ჩადლებული და გრძობაში ჩაქსოვილი, მაშინ ჩვენ გვეყოლება მტკიცე, მუდმივი ჯარი და არავითარი რევეა არ გვექნება შინაგანი, და არაფერი სახიფათო არ გვექნება




გარედან. როგორც იმ გუმბინსონი, რომ გვედგა საკითხი, როდესაც ჩვენ საბჭო-
რებში მტერი იყო შემოსული, მაშინ ჩვენ პარლამენტში სრულიად ჩაქუშდა
ის პარტიული უთანხმოება და შეხლა-შემოხლა. მასთან დამყარდა ერთსულოვ-
ნობა ერთი პოლიტიკური ფსახოლოგია. ამაში მტერმაც და მოყვარემაც დაი-
ნახა სახელმწიფოს ძირეუბის საწინდარი. და თუ, ბატონებო, ასეთნაირი ერთ-
სულოვნობა პოლიტიკურ პარტიებში იქნება ხოლმე ამა თუ იმ მოვლენის დროს
უნდა იყოს მუდმივ ჯარში, რომელიც არის ქვეყნის მუდმივი დამცველი ძალა.

ამიტომ მე ვფიქრობ, რომ მიუცილებელი არის, რომ ჯარისკაცებს და
ოფიცრებს, ჯარს, რომელიც არის ქვეყნის დამცველი ძალა, ეს უფლება, უფ-
ლება აქტიური და პასიური არჩევნების ჩამოერთვას.

აქ იყო კიდევ ცალკე ნახსენები საკითხი, აღმინისტრაციის მოსამსახურე-
ებზე. მართალი ვითხრობ, ვერ ვხედავთ იმ საბუთს, რომ საჭირო იყოს აღმი-
ნისტრაციის მოსამსახურეებს ჩამოერთვას აქტიური საარჩევნო უფლება. და
რაც შეეხება პასიურ უფლებას, შესაძლებელია, რომ მართლა მოსამსახურეებმა
ერთნაირი გავლენა მოახდინონ; ძალიანობა შექმნან არჩევნების დროს. ამიტომ
ასეთ ნაირთ პასიური უფლება უნდა ჩამოერთვათ. და რაც შეეხება აქტიურ
უფლებას, მე ვერ ვხედავ საბუთს, რომლის ძალითაც ისინი უნდა იყენენ მო-
კლებულნი ამ უფლებას.

რადენ არხენიძე. (ს.-დ.) დამფუძნებელი კრების არჩევნების გამო, შეი-
ძლება ძალიან მრავალი კითხვა აღიძვრას. მაგრამ ამ ეშამდ, უნდა მივაქციოთ
ყურადღება მის მთავარ, ძირითად დებულებას, ხოლო თვითველ კონკრეტულ
საგანს, ალბად მუხლობრივ განხილვის დროს გვექნება საშუალება შევეხოთ.
საერთო პრინციპი-კი უნდა იყოს დამფუძნებელი იმაზე, რომ ყველა მოქალაქეს,
რომელიც კი ჩვენ რესპუბლიკის მოქალაქეთ ითვლება, ჰქონდეს უფლება თა-
ვის ნება გამოსთქვას, თავის სუვერენული სურვილი გამოხატოს დ მუფუნებელ
კრების საშუალებათ. დამფუძნებელი კრება ყოველ დღე არ გამოვირდება, შეხა-
ძლებელია, რომ ეს არის ცხოვრებაში ერთხელ დაჩიეს; და აი ამ ერთხელ, რო-
დესაც ვერება საფუძველი ერის მომავლ არსებობას, განსაკუთრებთ საჭირო
არის, რომ ყველას ნება სურვილი იყოს გამოხატული იმ დაწესებულებაში, რო-
მელიც ერის უზენაეს ორგანოთ უნდა გადაიქცეს. ამიტომ იმ შეზღუდვას, რო-
მელიც შეიძლება ჩვეულებრივ საპარლამენტო მუშაობაში მიეცეს ადგილი, დამ-
ფუძნებელ კრებისთვის არ უნდა ჰქონდეს ადგილი. აქ, სწორედ დამფუძნებელ
კრებაზე, დემოკრატიზაციის პრინციპი უფრო ფართოთ უნდა იყოს გატარებუ-
ლი, ვინე მხვა რომელიმე დროს. ეს არის ძირითადი დებულება, რომელსაც
იცავდა და იცავს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია. და ამ პრინციპით ხა-
ლაფს იმ კანონ-როექტს, რომელიც დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის
არის აქ წაროყენებული. მეორე და მთავარი დებულება, რომელიც დამფუძნე-
ბელ კრებისთვის განსაკუთრებთა უნდა იქნეს მიღებული, ეს არის შესაძლებ-
ლობა იმისა, რომ ყველა მიმდინარეობა, რომელსაც კი თავი უჩენია ხალხში,
რომელიც აქ თუნდაც მცირე ნაკადს შეადგენს, ყველა ეს მიმდინარეობბ იყოს
გამოხატული ამ უმთავრეს და განსაკუთრებულ საკანონმდებლო დაწესებულება-
ში. არა თუ სურვილი ერის ზმრავლესობისა უნდა იქნეს წარმოდგენილი პირ-
ველ დამფუძნებელ კრებაში, არამედ ყველა ის სურვილი, რომელსაც თითვე
გარკვეული ხაზი და ვხა აქვს. აი ეს ორი მთავარი ძირითადი დებულება უნდა
დაედოს საფუძვლად დამფუძნებელ კრების არჩევნებს. მე მგონია ეს ერთი ძა-
რითადი დებულება, რომელსაც უაღრესი მნიშვნელობა უნდა მიეცეთ, ამ შემ-
თხვევაში არის არსებითად დაცული. აქედან წარმოსდგა საკითხი, რომ იყოს

Handwritten notes on the left margin: "ქვემოთადაც" and "არხენიძე".





ერთი საარჩევნო ოლქი, ერთ საარჩევნო ოლქში მცირე ჯგუფები შედიან, ეს უმცირესობის ჯგუფები გაფანტული არიან სხვა და სხვა მხარეებში, და რომ რამდენიმე ოლქი შეგვექმნა, შეიძლება მან ერთი დეპუტატის ოდენი ხმაც კი ვერ შეკრიბონ ცალ-ცალკე ოლქებში, ესაა კი ერთ ოლქში შეაგროვებენ და ხალხის ერთ წარმომადგენელს მაინც გამოვხაზიან; მეტად მცირე უნდა იყოს ჯგუფი, მეტად უმნიშვნელო, რომ მისი მიმდინარეობა უწარმომადგენლოდ დარჩეს ჩვენ დამფუძნებელ კრებაში ამ სისტემის წყალობით. ეს ერთი მთავარი დებულებაა, რომელსაც სოციალ-დემოკრატები იცავენ. არა იმიტომ, რომ ეს ესაჭიროება ჩვენი პარტიის უზრუნველყოფას, არამედ იმიტომ, რომ ამას მოითხოვს პრინციპი დემოკრატიისა, ამას მოითხოვს ნამდვილი და სწორი გამოხატვა ერის ნების-ყოფისა, ერის სურვილისა. ჩვენ რომ პარტო პარტიული ინტერესები გვაშოქმედებდეს, ჩვენ უნდა მივგელო ის „ქარგი სისტემა“, რომელიც მისცემს საშუალებას პარტიას გააბატონოს თავის უმრავლესობა და უმცირესობა სრულიად გააჭლოს. და ოპოზიციის გასამაგრებლათ იქნებოდა მხოლოდ საჭირო მაგორიტალური სისტემის მიღება. ასეთ მაგორიტალური სისტემის დროს, უმრავლესობისთვის ჩვეულებრივი შედეგი ის არის, რომ მცირე რიცხოვანი პარტიები ქრება პარლამენტიდან. იმათი ხმები ყველგან იკარგება და პარლამენტში მათ აზრის გამოხატველი არ ურჩებათ. ჩვენ კი მივიღეთ სწორედ ისეთი სისტემა, რომლითაც ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება უმცირესობის მიმდინარეობანი. ამას სხვა მხრეც აქვს მნიშვნელობა. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ შესაძლებელია ამა თუ იმ მიმდინარეობას, რომელიც ჩაისახა ხალხში, თავდა პირველად არ ჰქონდეს გარკვეული სახე და გველენა ხალხში, მაგრამ თუ რომელიმე მიმდინარეობას აქვს მომავალი, თუ ის წარმოადგენს პარტიას არა წარსულისას, არამედ მომავლისას, და თუ მათ იღვას აქვს მნიშვნელობა ცხოვრებისათვის, მას ექნება საშუალება ისარგებლოს ამ ტრიბუნით, რომ მთელ ერს ელაპარაკოს, და გააგებინოს თავის აზრები. დაე ჰქონდეს ეს საშუალება, რომ ამ ტრიბუნიდან, ხალხს თავის აზრი გააგებინოს, ჩვენ ამ უფლებას არავის არ ვართმევთ, პირიქით, ჩვენ გვინდა, რომ ყველა აზრი, რომელიც ერისთვის გამოსადეგია, ითქვას, დაე ჩვენ ვრმა გაიგოს, და რაც მართალია, ის მიიღოს და გადასჭრას; ისე გადასჭრას, როგორც მართლა შეეფერება მის ცოდნას, გამჭრიახობას, მის ინტერესებს და მის სურვილს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პრინციპი ვალიარეთ, სრული იმედი გვაქვს, რომ ის ჯგუფი და მიმდინარეობა, რომელიც ექუთენის წარსულს, თავის თავად დარჩება გარდაცული; ეს იქნება ნორმალური, დიან ეს იქნება სრულიად ნორმალური და ბუნებრივი გაწმენდა ერის ორგანიზმისა, და არა ხელოვნური გაწმენდა და გამორჩევა რომელიმე პარტიისა; და სწორედ იმიტომ დემოკრატია მომხრეა ერის ასეთ გაჯანსაღებისა. ამიტომ ვიცავთ ჩვენ დემოკრატიულ პრინციპს. აქედან გამომდინარეობს ჩვენი უხედავლობა იმაზე, თუ რატომ და რა კატეგორიის ხალხს არ უნდა მიეცეთ საშუალება არჩევნებში მონაწილეობის მიღების. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ამ საგანს განსაკუთრებულს სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ. საარჩევნო უფლება ერთმევა მხოლოდ მაშინ, და მხოლოდ იმ პირებს, როცა ეს ყოველად მიუცილებელი ხდება, როცა სხვა გზა არ დარჩენია სახელმწიფოს. როცა ამა თუ იმ ჯგუფს უფლებას შეუზღუდავენ. ასეთი შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ ბოროტ-შოქმედებისთვის, რომლისთვისაც სასამართლომ უკვე მიანიჭა ვადატრილი სასჯელი, და ისიც დროებით, და განსაზღვრული ვადით. თუ გავიდა დადებული ვადა, და დამნაშავე ახალ ბოროტ-შოქმედების გზას არ დაადგა, თუ არ დარჩა ისე ძველ ფსიქოლოგიის მქონეთ და ბოროტ აღამა-



ნად, თუ მან არ გამოიჩინა ამისთანა თვისება, კანონი აძლევს საშუალებას ამ დიად პოლიტიკურ აქტში, სადაც მთელი ერის ნების-ყოფა იხატება,—მონაწილეობა მიიღოს. ცხადია აქედან, როდესაც ჯარის უფლების შეზღუდვაზე მიდგება საქმე, ჩვენ უნდა განვახადოთ,—დიდის გულის ტუკილით ვეთანხმებით იმაზე, რომ ჯარს არ ექნება საარჩევნო უფლება. აქ ამბობენ, რომ ჯარი უნდა იღვეს პოლიტიკის გარეშე, რომ ისაა მთავარი საფუძველი სახელმწიფოს დაცვისა, მაგრამ, იმავე ორატორმა აღნიშნა, რომ, როდესაც ოდნავ საფრთხე გამოჩნდა საქართველოსთვის, მაშინ ყველა პარტიებმა ერთი ენა იპოვეს. მე მგონია, რომ ჯარს არ მივცეთ საარჩევნო უფლება იმიტომ კი არა, რომ იქ სხვა და სხვა მიმდინარეობა არის, ანდა ვითომ სამშობლოსდაცვის დროს, სხვა და სხვა მიმდინარეობამ არ უნდა იჩინოს თავისი—არა, სულ სხვა მოსაზრებით. ჩვენ არ გვინდა სულ სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ მივცემთ საარჩევნო უფლებას, მათ მიანც ექნება თავის პოლიტიკური აზრი. მაგრამ, ჩვენ არ ვვინდობთ, რომ, ამჟამად, როდესაც ეს სხეული ერთგვარ რყევას განიცდის, იქ შევიტანოთ პოლიტიკური აგიტაცია, რომელიც არჩევნებს სდევს თან. არ გვინდა შევიტანოთ იქ პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ჯარს დაშლის. მაშინ გვექნება არა ჯარის ორგანიზაცია, არამედ პარტიულ ჯგუფების ორგანიზაცია ჯარში. ეს ორი ელემენტი ახლავს თან ჯარში არჩევნებს. და ეს ორი ელემენტი საბოლოოდ მოსპობს ჯარს. სწორედ ამ მოსაზრებით, ჩვენ ვამბობთ, რომ ეს აგიტაცია უნდა ავაცილოთ ჯარს. (კედია: ყოველთვის, ამიერიდან და უკუნისამდე). და ეს აცილება აგიტაციისა, მოგვეცემს საშუალებას გაავანსალოთ ჯარის ორგანიზაცია. სულ სხვაა მასიური უფლების მიცემა. ერთი, ან ორი პირი, რომელიც იქნებიან წამოყენებული ამა თუ იმ პარტიის კანდიდატად, შეიძლება არჩეული იქნენ. ეს არაფერს დააშავებს, რადგან ეს არ გვაძლევს საშუალებას და უფლებას ჯარში აგიტაციის შეტანისას. ჯარში მას ამომრჩევლები არ ყავს, და ეს ისეთ ელემენტს არ ქმნის, რომელსაც ჯარში განსაკუთრებული დეზორგანიზაცია შეაქვს, აი, ამგვარ პრინციპად ვხელმძღვანელობით ჩვენ, როდესაც ჯარის არჩევნების უფლების საკითხს ვწყვეტდით. აქ სხვანაირად არც შეიძლებაოდა. შემდეგ ჩვენ გვგონია, რომ არავითარი დემოკრატიული მოსაზრება, და პრინციპი არ გვიკარნახებს რომ სხვა კატეგორიის მოქალაქეებს—ჩინოვნიკებს, მოხელეებს, თუ ივინი ადმინისტრაციის მოხელეებს წარმოადგენს, რაიმე უფლება ვფაროთ, არ შეიძლება დავყრდნოთ იმაზე, რომ ისინი ადმინისტრაციის მოხელეებს წარმოადგენენ, და თუ ასეთი უფლება მიენიჭათ ძალდატანებას იხმარენ ამრჩევლებზე, და მათ კი ამ ძალდატანების უფლება არ უნდა ჰქონდესთო, სრულიად ყალბი მოსაზრებაა ისიც, რომ ევროპაშიაც, დემოკრატიულ სახელმწიფოებში ამ კატეგორიის მოხელეებს აყრილი აქვთ ეს უფლებათო. მაგალითად, ბელგიაში, როგორც მომხსენებულმა სთქვა, არ აქვთ ეს უფლება აყრილი. არც შვეიცარიაში არის ასეთი პრინციპი ცხოვრებაში გატარებული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამას არ შეაქვს დეზორგანიზაცია, ადმინისტრაციაში, არც ძალ-მომხრება ამრჩევებში. თუ გინდათ ამ ძალ-მომხრობის წინააღმდეგ გარანტია, ეს სულ სხვაა. და მე მოვასხენებთ, რომ ამ კანონ-პროექტში არის შეტანილი ასეთი გარანტია. ეს გახლავთ, რომ არჩევნებისთვის სდგება სპეციალური აპარატი. ეს არ იქნება ის აპარატი, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგებს, და რომელიც ჩვეულებრივი ადმინისტრაციულ აპარატს წარმოადგენს. სულ სხვა იქნებოდა, რომ ჩვენ საარჩევნო აპარატად გადაგვექცია ადმინისტრაცია. მაშინ თქვენ შეგეძლოთ გეთქვათ, რომ ეს ადმინისტრაცია იქნება არჩევნების გამტარებე-



ლიო და სხვ. მაგრამ, სწორედ იმისთვის, რომ ამჩვენები იყოს მოწყობილი რაიმე ძალის ზედგავლენის გარეშე, ჩვენ არჩვენებისთვის შევქმენით მაკონტროლო რი აპარატი. ინტერპარტიული, ესე ვთქვათ. აპარატი, შემდგარი ყველა პარტიის წარმომადგენლებისაგან. სწორედ. ისეთ არჩეულ დაწესებულებებისა მიერ, როგორც არის ერობა, თვითმართველობა და პარლამენტი. შემდეგ იმისა, რაც ჩვენ შევქმენით განსაკუთრებული საარჩევნო აპარატი, ჩვენ მივიღეთ პრინციპი: ის აპარატი რომელიც ხელმძღვანელობს იმ განაგებს არჩვენებს, უნდა იყოს შექმნილი იმ გვარად, რომ არ ექნეს მიკერძება-მოკერძებას ადგილი. აღმინისტრაცია სდგას გარეშე არჩვენებისა, იგი მხოლოდ იცავს ნორმალურ წესს, ისე, როგორც უნდა იცავდეს, და დაიცავს ყოველთვის. მთელი მისი მოვალეობა, და უფლება ამ არჩვენებში გამთიხატება იმაში, რომ მილიციონერი უნდა მივიდეს, რასაკვირველია, თუ იარაღით, — იარაღით მისვლა არ შეიძლება, — თუ თავმჯდომარე არ გამოიწვევს, — უნდა მივიდეს, ბარათი მიიღოს და ყუთში ჩააგდოს. მე ვერ წარმომიდგენია, რომ თუ რომელიმე აღმინისტრაციის მოხელე, ვთქვათ მილიციონერი, მივა და ფარულად ხმას მისცემს, ეს მოახდენს რაიმე დეზორგანიზაციას. ეს ყოველად შეუძლებელია. მხოლოდ შიში და ის მოსაზრება, რომ თვით აღმინისტრაციულ წრეებში ჩვენ გვექნება ავტიაცია, ეს არ წარმოადგენს არაფერს განსაკუთრებულს. აღმინისტრაცია ჯარი არ არის, რომ იმას დაუშვას თავის ნება-სურვილის გამოთქმა. აღმინისტრაციას აქვს თავის განსაკუთრებული მოვალეობა, და ის ამ მოვალეობის მიხედვით უთუოდ უნდა ადევნებდეს თვალყურს საერთოდ ყველა პოლიტიკურ მიმდინარეობას. აი ყველა ამ მოსაზრების გამო ჩვენ ვამბობთ; უნდა ჰქონდეს არჩვენებში მონაწილეობის უფლება, და საშუალება ყველა წრეებს, ყველა საზოგადოებრივ ელემენტებს, თუ წინააღმდეგი რაიმე განსაკუთრებული რამ პირობების გამო არ არის მიზან შეწონილად აღიარებული. ამიტომ ჩვენ ვამბობთ: პასიური უფლება ჯარს, და სრული უფლება აღმინისტრაციის მოხელეთ. ჩვენ ვემბრობით ძირითად პრინციპს, და ვამბობთ, რომ მთელი არჩვენების, აპარატი იქნება სრულიად დამოუკიდებელი ეს აპარატი განსაკუთრებით იქნება პარლამენტის ხელმძღვანელობის ქვეშ, რომ ამ აპარატში რაიმე ძალმომრეობა, და ძალდატანება, რაც შეიძლება ნაკლები იყოს. მე იმის გარანტიის მომცემი არა ვარ, რომ იმ ჯგუფმა, რომელიც ნაკლებ ხმას მიიღებს; არ თქვას, ჩემზე ძალდატანებას ადგილი ჰქონდაო. მაგრამ, არსებობდა, არ ექნება საბუთი არავის, ილაპარაკონ, რომ თვით კანონმა მიაწინა აღმინისტრაციას საშუალება, და უფლება, ძალმომრეობა ეხმარაო; არავის არ ექნება ნება ილაპარაკონ მისი ნება-სურვილით ძალით გახრახუ. ჩვენი კომისიის სურვილი იყო, რომ ხალხის ნება იყოს სწორედ გამოხატული, და რადგანაც წარმოდგენილი კანონ-პროექტი იცავს სწორედ ამ დებულებას, ჩვენ მას მხარს დავუჭერთ.

თავმჯდომარე. ლაპარაკის მსურველი აღარ გახლავთ. იმიტომ კამათი გახლავთ შეწყვეტილი, სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

ალექსანდრე ლეშათაიძე. ბატონებო, უპირველეს ყოვლისა მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო იმ განცხადებას, რომელიც შემოიტანა ბ. გაბაშვილმა მას რატომ ღაც ჰგონებია რომ კომისიის მოხსენება — ეს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის აზრი იყო. არ ვიცი ბ. გაბაშვილმა საიდან გამოიტანა ეს დსკენა. მაგრამ მე გამოვაცხადე, რომ ეს კომისიის აზრია თქვენწინაშე წარმოდგენილი, და არა პარტიული აზრი.

მე ძალიან ვწუხვარ, რომ პარლამენტის წევრი კედია, რომელიც ითვლებოდა ამ კომისიის წევრათ, ერთხელაც არ დაესწრო კომისიის კრებას (კედია



აქ არ გახლდით!) დიახ! ამას რასაკვირველია თავის გასამართლებელი საბუთი აქვს.

მაგრამ მე მგონია ბ. კედია რომ დასწრებოდა ამ კომისიის მუშაობას, ალბათ შეიტანდა იმ შექს, იმ სინათლეს, იმ ერთად ერთ მისაღებ პრინციპში, რომელზედაც დღეს აქ ილაპარაკეს. თუმცა უნდა განვაცხადო, რომ მიუხედავად იმისა, რომ მე აქ დიდ ყურადღებით უსმენდი ბ. ორატორს, მაგრამ მაინც ვერ გავიგე, რომელი სისტემა მოსწონს მას. მაჟორიტალური არ მოსწონს, პერსონალური არ მოსწონს, პროპორციულად არ მოსწონს და რაშია საქმე მე ვერ ვაიგე.

ბ. ორატორს რომ ეუბნა, ამ სისტემას უჭერთ მხარს, ეს სისტემა უკეთესია ჩვენთვისო, მაშინ გავიგებდით, მაგრამ ამისთანა მოსაზრება მას არ წამოუყენებია. ერთად ერთი, რომელზედაც ყველა ორატორებმა და ბ. კედია მიამოწიესა ყურადღება ეს გახლავთ მცირე ოლქებით დაყოფის საკითხი. უნდა მოგახსენოთ, რომ როგორც თითქმის ყველა საკითხში, ამ საკითხშიც ყველა კომისიის წევრები, ყველა ფრაქციის წარმომადგენლები ერთ აზრს იცავდნენ. ეს აზრი გახლავთ, რომ საქართველოს რესპუბლიკა წარმოადგენდეს ერთ საარჩევნო ოლქს. ამ წარმოდგენით თქვენ,—არვიცი კედია და ისინი ვინც იმ აზრს იზიარებენ, იქნება არ იციან ეს, მაგრამ ისეთი პატარა ჯგუფები და პარტიები, როგორსაც ბ. კედია წარმოადგენს, დანტერესებულნი არიან იმაში, რომ ერთი საარჩევნო ოლქი იყოს და არა მეტი, და აი რატომ: წარმოდგენით, რომ ერთ დეპუტატს ეძლევა 25 ათასი ხმა 25 ათასი ხმა საჭიროა იმისთვის, რომ ეს დეპუტატი იქნეს დამფუძნებელ კრებაში წარმომადგენლად. წარმოდგენით, რომ საქართველო დაყოფილი არის რამდენიმე საარჩევნო ოლქად. მაშინ, თუ საქართველო იქნება ერთ საარჩევნო ოლქად გამოცხადებული, ამა თუ იმ პატარა ჯგუფს, თუ პარტიას, შეეძლება ამ ერთ საარჩევნო ოლქში შეიკრიბოს 25 ათასი ხმა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქართველო იქნება დაყოფილი რამდენიმე ოლქად, ეს 25 ათასი ხმა დაექსაცხება ერთი მიიღებს 5 ათასს, მეორე 10) ათასს, შედეგი ის იქნება, რომ დეპუტატს ასეთი პატარა ჯგუფს ვერ გაიყვანს, ეინაიდან კანონის ძალით აკრძალულია მითვლა იმ ხმებისა, რომელიც მიიღო ამა თუ იმ პარტიამ სხვა და სხვა ოლქებში. ასეთი აზრი იყო, და იგი ყველა ფრაქციამ გაიზიარა კომისიაში, როგორც მოგახსენეთ, კომისიამ ეს აზრი ერთხმად მიიღო:

არ ვიცი რით აფხნა, გაბაშვილის გამოსვლა, მაგრამ ალბად მას არ შეუძლიან არ ისარგებლოს შემთხვევით და წიხლი არ გაიჭინოს ერთ ერთ პარტიის წინააღმდეგ, როგორც ამ პარტიის იხე სხვა პარტიის წარმომადგენლების აზრი ის იყო, რომ საარჩევნო კანონი აგვეგო ისეთ პრინციპზე, რომელიც მოგვემბა საშუალებას, რათა დამფუძნებელი კრება ყოფილიყო საქართველოს ნამდვილ სურვილების გამოხატველი. მე მინდა განვაცხადო აქ პროტესტი, იმის გამო, რომ ამ საქმის არ ცნობით, ან და სხვა რაიმე მოსაზრებით, აქ იწინებოდა ყველა ფრაქციის მიერ გაზიარებული ეს უმთავრესი გადწყვეტილება.

ბ. გაბაშვილმა სთქვა, რომ სამაზრო კომისიას რაცა ადგენენ, ეს სამაზრო კომისიის მოწყობა, გამგეობის წევრებს ეკისრებათ, და ეს გამგეობის წევრები, ალბად, თუმცა აქ არ ითქვა, მაგრამ, რომ სახეში ჰქონდათ, რომ გამგედ ბევრი უსათუოდ სოციალ-დემოკრატიის წევრი უნდა იყოს—მე მოგახსენეთ, როდესაც მოხსენება გავაკეთე, რომ ის, რაც რუსეთში იყო, ჩვენთვის ბევრ რამე-



ში მიუღებელია. მაგრამ, რაც იყო მისაღები ჩვენთვის, ამაზე დიდი ხანია იმსჯელა კომისიამ, და ბოლოს ერთხმად იყო მიღებული ასეთი პრინციპი. სხვა გამოსავალი არ იყო. შეიძლება სერიოზულად მიგველო ისეთი წინადადება, რომ პერსონალური საპატიო პირები დაგვენიშნა, თუმცა ასეთი პრინციპი, ასეთი აზრი არ განვითარებულა. დავადექით ერთად ერთ აზრს. საქალაქო თვითმართელობები არსებობს, და მათ თავისი აღმასრულებელი ორგანოები აქვთ, ამ ორგანოებმა უნდა გამოიყონ თითო წევრი, რომელსაც ევალება ყველა პარტიებთან, მათ ხელმძღვანელ ორგანოებთან გამართოს მოლაპარაკება, კანონი უჩვენოს და როცა გამოირკვევა ძალთა განწყობილება ამ პარტიათა შორის, ამ პირის მოწვევით თავს მოიყრიან პარტიების წარმომადგენლები, ისინი აირჩევენ თავმჯდომარეს, თავმჯდომარის ამხანაგს, ხაზინადარს და სხვებს. არ ვიცი, აქ ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ საუკეთესო გამოსავალი არავის არ წარმოუდგენია, მე მგონია, რომ კომისიის მოსაზრება და გადაწყვეტილება—ერთად ერთი მისაღები იქნება დღევანდელ ჩვენ არჩევნებში. (გაბაშვილი: მე რომ ვგ არ შითქვამს?).

ქვეშევრდომობის კანონიო. მე რამდენადაც მახსოვს და მგონია, რომ პარლამენტის წევრებიც დამემოწმებიან, გაბაშვილს და მის თანამოაზრეთ არ მოსწონდათ და არ მოსწონთ ჩვენი მუშაობა და კანონები, ეს ახალი ამბავი არ არის. (გაბაშვილი: რასაკვირველია!) რასაკვირველია ეს ახალი ამბავი არ არის. მაგრამ ამ კანონების სამაგიეროდ რა კანონი შემოიტანეს არ ვიცი. შეიძლება, გულში აქვთ, შეიძლება დავთრებში აქვთ, მაგრამ რა შემოიტანეს დღევანდლამდის—ჩვენ არ ვიცით.

რაც შეეხება ნაკლებს, ეს აღიარებული არის და ჩვენ არ ვმალავთ, რაკი ცხოვრებამ გამოაშკარაფა ეს ნაკლი.

საჭიროა რომ სხვა და და სხვა კორექტივი და შეიწორებები შეიტანოთ. მე ვაღიარებულნი ვიყავი რომ ეს მომეხსენებინა, და იმის მაგივრად რომ თქვენ მოგესურვებინათ დადებითი მუშაობის ნაყოფი გამოგვიჩინათ ამ კანონის მუშაობის დროს, რომელიც ალცილებელი არის არა იმ პარტიისათვის, რომელსაც ებრძვით, არამედ ერისთვის, ხალხისთვის, სამშობლოსთვის, ამის მაგივრად თქვენ ერთხელ კიდევ ჩაწიხლეთ კომისიის ნამუშევარი. კომისიის აზრი იმის შესახებ, ერთხელ კიდევ ვიმეორებ ასეთი არის: შეიძლება, აქ პარლამენტმა თავის პლენუმში უფრო შესაფერი, საჭირო დეტალები, გამოიხატოს რომ ცხოვრებაში ვატარების დროს არავითარი ნაკლი არ ჰქონდეს ამ დებულებას, არავითარი დაბრკოლება არ შეხვდეს.

მოსხენებაში, ბატონებო, მე მოგახსენებთ, რომ დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიამ მიიღო ის შესწორებანი, რომელნიც იურიდიულ კომისიამ წარმოადგინა.

აქ სხვათა შორის ერთ მუხლს შეეხო ბ. გაბაშვილი. აქ არის რედაქციული შეცდომა, მე ამაზედ მოგახსენეთ, როდესაც ვთქვი, რომ ეს შესწორება მიღებულა კომისიის მიერ, როგორც ეს ისტორიულ კომისიამ წარმოადგინა მეთქი. რედაქცია ასეთი გახლავთ, და ამას უნდა მიექცეს ყურადღება. აქ გახლდა ლაპარაკი მეშვიდე მუხლზე (კითხულობს)... არჩეული შეიძლება იყოს ისეთი პირი, რომელიც არაა შეტანილი საარჩევნო სიაში, მაგრამ საარჩევნო უფლების პირობას აკმაყოფილებს. სეთი გახლავთ რედაქცია. აი, ასეთი შესწორება, ამაზედ მოგახსენეთოცა ვლაპარაკობდა და მე მგონია, რომ ამისთვის უნდა მიექცია ყურადღება ორატორს.

ჯარის შესახებ მე სიტყვას არ გავაგრძელებ. მე მგონია, რომ დაცვა იმი-



სა, რომ ჯარს მიეცეს საარჩევნო უფლება ვერ იყო ისე დაყენებული, რომ იმის ანგარიში გაეშინოს. აქ წაოყენებული იყო ერთად-ერთი საბუთი: რაკი ისინი მოქალაქენი არიან, ჩვენ არ ვითარო უფლება არა გვაქვს, რომ მათ საარჩევნო უფლება ჩამოვართვათ. მაგრამ ორატორების მიერ მოყვნილი იყო ისეთი საბუთები, რომელიც მე პირადად მოგახსენებთ მოხსენების დროს და ამ საბუთებს გამყოფება არ სჭირია, ის შესწორებაში, რომელიც შემოტანილნი არიან ერთი პარლამენტის წევრისაგან მიუღებელნი არიან, და რასაკვირველია, მათ კომისია ვერ მიიღებდა.

რაც შეეხება ადმინისტრაციას და მილიციას, მე მგონია რომ აქ, მართალია მოვალედ არის ნათქვამი ადმინისტრაციაზე და მილიციაზე. მაგრამ მე მოგახსენებთ რომ ასეთი გახლავთ კომისიის აზრი, რომ ამ პირთ ადმინისტრაციის და მილიციის მოსამსახურეთ, რომელთაც დაეკისრებათ აქტიური მუშაობა, წესიერების დაცვაში (გაბაშვილი: იმათ არ მიეცემათ?) დიახ, არ მიიცემათ. ასეთი გახლავთ კომისიის აზრი და ამ აზრს მე ვიცავ. კიდევ იყო ბევრი რამ ნათქვამი, ყველა ამას მუხლობრივ განხილვის დროს დაუბრუნდები და მაშინ მე შემეძლება სავსებით ჯეროვანი პასუხი გავცე.

დებულების მუხლობრივი განხილვა.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი, რომ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზედ კანონ-პროექტისა? ამ გვარად მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეთ. ვთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს) დამფუძნებელ კრებას შეადგენენ წევრები, არჩეულნი მცხოვრებლების მიერ საყოველთაო—განურჩევლად სქესისა,—თ.ნ.ს.წორის, პარდაპირის და ფარული ხმის მიცემით პარლამენტულ წარმომადგენლობის საფუძველზე.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? ეს მუხლი მიღებულია. ვთხოვთ წაიკითხოთ მეორე მუხლი.

მომხსენებელი. მე უყვე განვაცხადე, რომ კომისიამ 120 დეპუტატის მაგივრად 130 მიიღო (კითხულობს) დამფუძნებელ კრების არჩევნის საწარმოებლად არსდება რესპუბლიკის ერთი საარჩევნო ოლქი. დამფუძნებელ წევრთა რიცხვი იქნება ას ოცდა ათი, არჩევნებზე ხმის მისაცემად რესპუბლიკა იყოფა საარჩევნო უბნებად.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს შალვა მიქელაძეს.

შალვა მიქელაძე (ს.-ფ.) ჩვენს ფრაქციას ჰგონია, რომ 120 წევრი საკმაო არ არის დამფუძნებელი კრებისათვის.

საერთოდ დამფუძნებელ კრებას დიდი მუშაობა დაეკისრება. რა თქმა უნდა ეს მუშაობა უმთავრესად იქნება კომისიებში და არა პლენუმში. კომისიებში სამუშაოდ საჭიროა დიდძალი მომზადებული ხალხი. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ 150—ეს უკანასკნელია, ეს მინიმუმი იმისთვის, რომ საპარლამენტო მუშაობა სწარმოებდეს ისე, როგორც საჭიროა, მით უმეტეს, რომ ბ. არსენიძე ბრძანებდა, რომ ჩვენ ვხელმძღვანელობთ საერთო დემოკრატიულ პრინციპით, და, უნდა მოვახსენოთ, დემოკრატიული პრინციპები მით უფრო უაღრესად იქნება დატული, რაც უფრო მეტი რიცხვი იქნება წარმომადგენლებისა. და ამიტომ ჩვენ წინადადება შემოგვაქვს, რომ 120 მაგივრად იყოს 150 დეპუტატი.

საქართველოს პარლამენტი. გაზ. „საქარ. რესპ.“ დამატება № 55.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს კედიას საირადოს, სპარდონ კედია. (ერ. დემ.) აქ თქვენ მოისმინეთ მოსაზრება დასაცემლათ იმისა, რომ მაილ საქართველოში დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის დაარსდეს ერთი საარჩევნო ოლქი.

მოსაზრება გახლავს ერთად ერთი—სურვილი და იდეა, ამ შემთხვევაში. მმართველ პარტიისა, რომ ყველას, თვით უმცირესს, და ყოველ მნიშვნელობას მოკლებულ მიმდინარეობას მიეცეს საშუალება, რომ თავის წარმომადგენელი იყოილის პარლამენტში.

საზოგადო, ესეთი სიტყვები და აზრები, ყველა კაცს გულს უღონებს. მაგრამ, მე მანდა სწორედ ამის წინააღმდეგ ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ.

პროპორციული არჩევნები, ეს მხოლოდ წარმომადგენლობისთვის შემთხვევით არის გამოსაყენებელი და კარგი. მხოლოდ, როდესაც წარმომადგენლობა უკვე თავმოყრილი არის და პარლამენტში მუშაობს, ეც იგი, იმ წრეში, სადაც უნდა დამუშავდეს ორგანიული კანონები, რომლის მიხედვით, მთელ ქვეყანას უნდა განაგებდეს,—აი, ამ პარლამენტში, რასაკვირველია, არავითარ პროპორციულ სისტემას ადგილი არ აქვს. აქ სწუდება ყოველივე საქითი მათორიტარული სისტემით, რასაკვირველია, ხმის უმრავლესობით.

მე მიმაჩნია, სწორედ, არამც თუ უხერხულად, არამედ მიმაჩნია საზარლოდ, რომ პარლამენტში მნიშვნელოვან და ორგანიულ საკითხების გადაწყვეტის საქმეში, გადამწყვეტი როლი ითამაშოს, ასე რომ ვთქვათ, მონავარდე ხმამ, ასე რომ ვთქვათ, იმ ჯგუფმა, რომელსაც მთელ საქართველოს ტერიტორიაზე მოუკრებია, მართლოდენ ერთი წარმომადგენლობის საკმარისი ხმა.

პარლამენტის ისტორიაში ასეთნაირი მაგალითი ხშირია. ერთ ხმის უმრავლესობამ დამტკიცა საფრანგეთის რესპუბლიკა.

და მე მიმაჩნია სახიფათოდ, რომ ისეთ მცირე მიმდინარეობას მიეცეს გადამწყვეტი როლი პარლამენტში.

აქ უკვე კანონმდებლობაზე სპეკულიაციის პირობები იქნება.

და, მე მგონია, ვინც სხვანაირად უყურებს საკანონმდებლო საპარლამენტო მუშაობას. ამგვარ შემთხვევას ადგილს არ მისცემს. კანონი უნდა გაიყვინოს და ქვეყანა დამკვიდროს იმ მიმდინარეობამ, რომელსაც ხალხში აქვს, ასე თუ ისე, დიდი ძალა მოკრებილი და მართლა, დიდი როლი და მნიშვნელობა.

მე, პირადად, და ის ფრაქცია, რომელსაც მე აქ წარმოვადგენ, ავიღებდით ხელს იმ კეთილ სურვილზე, რომელიც აქ ბ. არსენიძემ გამოსთქვა, და სრულებიდაც დამფუძნებელ კრებაზე არ მოვიდოდით, რა თქმა უნდა, თლონდაც აი, ასეთნაირ შემთხვევით, რომ ერთი-ორი ხმის მიკედლებით არ დაეხოს, და დაირღვას, კანონმდებლობით რაციონალური მუშაობა, და რაციონალური წესი.

მეორე მოსაზრება, საქართველოს რამოდენიმე ოლქებად დაყოფისათვის ის გახლავთ. რომ საქართველო შეადგება სხვა და სხვა კუთხეებისაგან, რომლებსაც ისტორიის განმავლობაში, თავისი საკუთარი სახე და მიმდინარეობა ჰქონდა. აქ პოლიტიკაც ზნეც, კულტურაც,—ერთნაირ სხვა და სხვაობას წარმოადგენს. და მე ვფიქრობ, რომ დამფუძნებელ კრებაში, სწორედ ეს უნდა იყოს წარმომადგენელი უმეტ-ნაკლებოდ. ამისთვის კი უმთავრესად საჭიროა, რომ დაარსდეს ერთი ოლქი კი არა, არამედ შემოდებულ იქნეს რამდენიმე ოლქი.

აი, ბატონებო კიდევ მოსაზრება: არა მართო ეს ისტორიული, პოლიტიკური მომენტია მისა ლები, არამედ, ის, რომ სცვა და სხვა ნაწილები საქართველოსი, აი, ამ წელთა განმავლობაში ეკონომიურად, ერთნაირ თავისუფლებას



წარმოადგენდნენ. და სწორედ საფუძვლიანად იყო გამოთქმული აზრი პრესაში, ამ უკანასკნელ დღეებში, რომ თუ პარლამენტში, დამფუძნებელ კრებაში, დიდი უმრავლესობა იქნება ერთ კუთხიდან მოსული, და ეს ხომ შესაძლებელია,— გარანტია არ გვაქვს, რომ ეს ასე არ მოხდება, და თუ კი ეს იქნება, მაშინ, რასაკვირველია, რომ პარლამენტის ორგანიზულ მუშაობაში იქნება გუფგებრობა, და ხელის შეშლა აი იმ დანარჩენ კუთხეების, ადგილების, და ცოცხალ წრეების სხვა და სხვა ეკონომიურ მდგომარეობის შეგნებაში და შემცენებაში, რაზედაც უნდა იყოს აგებული პარლამენტის წევრების მუშაობა. პარლამენტის ყველა წევრმა უნდა იცოდეს საქართველოს სხვა და სხვა კუთხის მთელი მდგომარეობა. მაგრამ, ფაქტიურად, ეს ესე არ ხდება და ის მოხდება, როდესაც იმ კუთხეებს, კანონის ძალით შეძლება ექნებათ იყოლიონ თავის წარმომადგენელი.

აი ეს მოსაზრება, ჩემის აზრით, ისეთ ღირებულობას აქვს, რომ შეუძლებელია გაბთილება იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ გვაინტერესებს, რაც შეიძლება ფართო იქნეს ეს უფლება. ჩვენ გვინდა, რომ არც ერთი მიზნინარეობა, თუ გინდ, სუსტი იყვის, არ დარჩეს წარმოდგენელი. რომ უფრო მაღალი იყოს ინტერესების გაგება კანონმდებლობითა მუშაობის დროს და რომ საქართველოს კუთხეები უფრო მიზანშეწონილად იყვნენ წარმოდგენილნი, რომ უფრო მკაფიოდ, უფრო სხივოსნურად დაიხსახოს საქართველოს სახე, — ამისთვის მიუცალკებელი არის, რომ საქართველო ერთ ოლქად კი არა, არამედ რამდენიმე ოლქად დაიყოს.

მერე, რაც შეეხება წევრთა რიცხვს, ჩვენ მომარტნი ვართ, რომ დაიჩს ისე, როგორც იყო, ე. ი. 120 კაცი. (ხმა: კონსიის აზრით, 130 კაცია!) ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ 130 კაცის ნაცვლად იყოს 120. მოსაზრება, რომელიც წარმოადგინეს აქ, რომ 120 რიცხვი გადიდდეს 150, ჩვენი შეხედულებით, არ არის ისეთ წონისა, რომ ეს რიცხვი გადიდდეს 150-მდე.

თავმჯდომარე. პარლამენტის წევრი გაბაშვილი რევაზ.

რევაზ გაბაშვილი. (დამოუკიდებელი ელემენტი.) ჩვენი ფრაქციის სახელით უნდა განეაცხადო, რომ ჩვენ ვიცავთ ერთ ოლქს. და სწორედ იმ მოსაზრების წინააღმდეგ, რომელიც ჩემზე წინა ორატორმა ბრძანა.

დღეს, როდესაც პოლიტიკურად, საქართველო არ არის გამთვლებული, როდესაც საბოლოოდ არ არის გაერთიანებული მთელი საქართველო, შექმნა ასეთნაირ მდგომარეობისა, რომ საქართველო დაიყოს ყველა იმ კუთხეებთან, რომლებთანაც წინადა იყო დაყოფილი იგი, ყოვლად შეუძლებელია.

მართალი უნდა ვთქვათ, რომ ზოგიერთი კუთხეები საქართველოში უმეტესადაც არიან წარმოდგენილი, და საზოგადოდ, ჩვენს ცხოვრებაში სკრობენ, სხვა კუთხეებთან შედარებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აუცილებლად საქაიროა, რომ ის პროცენი, რომელიც ვერ დაასრულა რუსეთმა თავის 100 წ. აქ ყოფნის დროს, ე. ი. საქართველოს გაერთიანება ერთ სახელად, ჩვენ დავასრულოდ. დღეს, როდესაც ჩვენ ხელთ გვიპყრია უფლება, და მოვალეობა საქართველოს გაერთიანებასა, ჩვენ არ შეგვიძლია ვინმეწმდვანელთ საერობო და საეკონომიო მოსაზრებით, და საქართველო რამდენიმე ნაწილად დაყოთ.

ის საკითხი, რომელიც აქ წამოყენებულია, რომ ყველა კუთხეს ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი, რომ ამა თუ იმ კუთხის ფიზიონომია უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ეს შეიძლება ასე უნდა ხდებოდეს ერობებში, და სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებებში, მაგრამ, ჩვენი მთავრობის, ჩვენი სიერობის, პოლიტიკური დაწესებულებების ინტერესები, ჩვენი სტრატეგიული მდგომარეობა მოითხოვს იმას, რომ მთელი სახელმწიფო იქნეს გაერთიანებული, და სა-



ხელნაწიფოს სათავეში ჰყავდეს ერთი ძლიერი მთავრობა, თუნდაც იგი იყოს იმ კუთხიდან, რომელსაც არა ვთვლიდეთ საქართველოს ნაციონალურ ნების გამო მხატველად.

ეს აუცილებელია დღევანდელ მომენტში და მე მკონია, სჯა და ლაპარაკი იმაზე, რომ შესაძლებელი იყოს საარჩევნო ოლქის რამდენიმე ნაწილად გაყოფა, შეუძლებელ მიმანჩია.

ამიტომ, მე კატეგორიულად ვამბობთ, რომ უმჯობესია სრულიად მოისპოს ამ საკითხზე ლაპარაკი, და დარჩეს ის, როგორც იყო შემოტანილი კომისიის სახელით.

თავმჯდომარე. ლაპარაკი არავის სურს. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

მომხსენებელი ადექსანდრე ლომთათიძე. ბატონებო, რაც შეეხება წევრების რიცხვის გადიდებას, მე მკონია, რომ ეს მოსაზრება, რომელიც მოყვანილი იყო აქ არ არის იმდენად საუთიანი, რომ 130 კაცს, კიდევ მიემატოს 20. კომისიამ დიდი ყურადღება მიაქცია ამ საკითხს და ბოლოს დადგა იმ აზრს, რომ 130 კაცი მომავალ დამფუძნებელ კრებისთვის სრულიად საკმარისი იქნება, იმისთვის, რომ პირნათლად შეასრულოს ის მძიმე, და ფრთხილ საპასუხისმგებლო სამუშაო, რომელიც დაეკისრება დამფუძნებელ კრებას.

ამიტომ, იე ამ წინადადების წინააღმდეგი ვარ.

რაც შეეხება რამდენიმე ოლქად დაყოფას, აქ, რაღაც გაუგებრობა უნდა აყოს.

მთავარი მოსაზრება და დებულება ბ. კედიასი იყო ის, რომ დღეს არა ნორმალური მდგომარეობა არის პარლამენტში. ეს უსათუოდ დაგმობილი უნდა იყოს, და არა ნორმალურ მდგომარეობას ორატორი ხედავს იმაში, რომ ერთგვარი ცალმხრივობა არის პარლამენტში. ერთი კუთხე საქართველოსი არის სავსებით წარმოდგენილი. შეიძლება კიდე უფრო მეტად, მაშინ, როდესაც 3-2 კუთხეს სრულიად არ ჰყავს წარმოდგენილი: და ეს იმ დროს, ამბობს ორატორი, როდესაც საქართველო ერთფეროვანი არ არის, როდესაც მას კულტურული და ეკონომიური მდგომარეობა ჰყოფსო. მაგრამ, მე არ ვიცი, განა ის კანონ-პროექტი, რომელიც თქვენ უნდა დაამტკიცოთ, ხელს გიშლით, რომ ეს 130 კაცი, რომელიც უნდა შეიტანოთ საკანდიდატო სიაში, ისე შეადგინოთ, რომ წამოყენებული იყვნენ წარმომადგენლები, ქართლისა, კახეთისა, იმერეთის, სამეგრელოსი, გურიის და სხვათა? განა არ შეგიძლიანთ (კედია: კანონი!) სწორედ კანონმა უნდა უზრუნველყოთ თქვენ, უსათუოდ ქართლის წარმომადგენლები შეიტანეთ ყველა სიაშიო. კანონი გეუბნებათ ნხოლოდ რომ 130 წევრი უნდა წარაიყენოთ, — თქვენი აზრით, 120 საკმარისია. და მე ამას ვიხიარებ. — მაგრამ ამ კანონით ისე უნდა მოხდეს, რომ არც ერთი კუთხე არ დარჩეს წარმოდგენილად.

ამიტომ, მე მკონია, ეს საბუთი სრულიად არ არის მომასწავებელი იმისა, რომ წინადადება შემოტანილი ბ. კედიასაგან მიღებული იყოს.

მე ვიცავ კომისიის აზრს ისე, როგორც არის წარმოდგენილი. ესე იგი, — საარჩევნო ოლქად დარჩეს ერთი ოლქი. და დამფუძნებელ კრების წარმომადგენლების რიცხვი 130 კაცი.

თავმჯდომარე. რიცხვის შესახებ სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის მიერ არის ასეთი წინადადება შემოტანილი: 120 კაცის მაგივრად იყოს 150 კაცი. ვინ არის მომხრე ამ წინადადებისა? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე წინადადება უარყოფილია.



მეორე შესწორება შემოტანილი გახლდათ ეროვნულ-დემოკრატიებისაგან. (მიმართავს მდივანს) გთხოვთ წაიკითხოთ.

მდივანი. (კითხულობს) დამფუძნებელ კრების არჩევნების მოსახდენად საქართველო განიყოფება ოთხ საარჩევნო ოლქად:

1. თონიეთი თელავი-სიღნაღი-ზაქათალა (კახეთი).
2. გორი დუშეთი-ტფილისი-ბორჩალო-ახალქალაქი-ახალციხე.
3. შორაპანი—ქუთაისი-რაჭა-ლენჩხუმი-გურია.
4. სენაკი-ზუგდიდი-სოხუმი და სოჭი.

თავმჯდომარე. მაშასადამე აქ შემოტანილი გახლავთ ეროვნულ-დემოკრატიების მიერ წინადადება ასეთნაირად დასახული—თუ რამდენი უნდა იყოს ოლქი, და რა და რა ადგილას უნდა იყოს შედგენილი ოლქები. ვინ არის მომხრე რომ რამდენიმე ოლქი იყოს ერთის მაგივრად? ვინ არის წიააღმდევნი? ეს წინადადება უარყოფილი არის. ეხლა მე-2 ნახევარს უყრი ცალკე კენჭს. ვინ არის მომხრე, 2 მუხლის პირველი ნაწილისა, რომ იყოს რიცხვი 130 კაცი, როგორც იძლევა წინადადებას კომისია, ვინ არის მომხრე? გთხოვთ ასწიოთ ხელი. მეორე მუხლი მიღებული არის.

მოხსენებელს ვსთხოვ წაიკითხოს 3 მუხლი.

მომხსენებელი. (კითხულობს 3 მუხლს). დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქეთ, თუ მათ არჩევნების დღისთვის ცხრამეტი წელი შესრულებიათ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ვაჩანაძეს.

დავით ვაჩანაძე. (დამოუკ. ეროვ. დემ.) ბატონებო, პარლამენტის წევრნო. პარლამენტის მიერ მიღებული ძირითადი სამხედრო კანონი კატეგორიულად მოითხოვს, რომ საქართველოს რეგულიარული ჯარი პოლიტიკის გარეშე იდგეს. ამაში ერთსულოვანი იყო ამ კანონის შემდგენელი სამხედრო საპარლამენტო კომისია და თუ არ ვცდები, არცერთად ამავე აზრისა უნდა იყოს დამფუძნებელ კრების კომისიაც, რომელმაც წარსულ კრებაზედ ბ-ნ ლომთათიძის პირით გვაუწყა, რომ აქტიურ საარჩევნო უფლების ჯარისათვის ჩამორთმევა გამოწვეულია „წარსულ მწუხარე გამოცდილებით, რომელმაც დაგვარწმუნა თუ როგორ მაგნეც ყოფილა დისციპლინისა და წესიერებისათვის პოლიტიკის შეტანა ყაზარმაში“. მაგრამ ამ „მწუხარების გამოცდილებამ“ დამფუძნებელ კრების კომისიას ვერ გააბედვინა ბოლომდის ლოლიკური და მთლიანი პრაქტიკული დასკვნა გამოეტანა: რომ რეგულიარულ ჯარში მსახურნი მოკლებულნი უნდა იყვნენ როგორც აქტიურს, ისე პასიურ საარჩევნო უფლებას.

თუ პოლიტიკის შეტანა ყაზარმაში „დამფუძნებელ კომისიის აზრით მავნებელია ჯარისათვის, არა ნაკლებ მავნებელია ამ პოლიტიკისათვის ხერგლის დატოვებაც. ასეთი ხერგლია პასიურ საარჩევნო უფლების მინიჭება რეგულიარულ ჯარისათვის. ამიტომ მე საჭიროდ ვსცნობ შევიჩერო პარლამენტის ყურადღება ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე. მე, ამ შემთხვევაში, მალაპარაკებს არც ფრაქციის და არც პარტიის პოლიტიკური ინტერესები; ფიქრით, რომ ჯარი, რომელზედაც დამყარებულია სახელმწიფოს ყოფნა არ ყოფნა, არის ერთად ერთი დიდი დაწესებულება, რომელთანაც პარტიულის სახომით მიდგომა დიდ დანაშაულად ჩაითვლება. ნამდვილ პარტიოტებს, რომლებიც გულწრფელად ემსახურებიან თავის სახელმწიფოს, თუ გინდ სხვა და სხვა გზით, უნდა ახსოვდეთ ერთი ქეშმარიტება: ძლიერი სახელმწიფო არ შეიქმნება, თუ მისი ჯარი პოლიტიკურ პარტიათა სარბიელად გადაიქცა. ამ მხრივ ყველა ჩვენ, განურჩევლად პარტიულის რწმენისა, მოვალენი ვართ ჯარისათვის ისეთი კანონ-



ნები შემოვიღოთ, რომლებიც საესეებით დაიფარავენ მას პოლიტიკურ ბრძოლის შეხლა-შემოხლის ტალღებისაგან.

მით უფრო საჭიროა ეს რეგულიარულ ჯარისათვის. ყველამ იცის, თუ რა მძიმე მუშაობა ეკისრება რეგულიარულ ჯარისკაცს და ოფიცერს. ჩაეკტილი ყაზარმაში, უსასტიკესი წესიერების და დისციპლინის მონა-მორჩილი, საყარაულო სამსახური, გამუდმებული სანხედრო ვარჯიშობა, მანევრები და სხვა და სხვა ძალიან მცირე დროს უტოვებენ მას კულტურულ განმანათლებელ წყურვილის დაკმაყოფილებისათვისაც კი. და რამდენად შემოკლებულია სამსახურის დრო გაუნათლებელ და მოუშხადებელ გაწვეულ ჯარისკაცთა მასისათვის, იმდენად მძიმეა სანხედრო ტვირთი რეგულიარულ ჯარის კაცისა. ამიტომ არც პარტიოზისათვის, არც პოლიტიკისათვის მას არ სცხელა. მას ერთი მიზანი აქვს დასახული: საჩქაროდ შესწავლა სანხედრო საგნებისა და შეიარაღებულად თავიდან ფეხებამდე ყოველ წუთს მხად ყოფნა საშობლოს თავდაცვისათვის. ამიტომ არც გასაკვირალია, რომ დედა-მიწის ზურგზე არ მოიპოვება ისეთი სახელმწიფო რესპუბლიკანური, თუ მონარქიული, რომელსაც რეგულიარული ჯარის კაცი დაეტირთოს კიდევ პოლიტიკურ ფუნქციებით.

ამ განათლებულ სახელმწიფოთა აზრით, ჯარისკაცის როლი, როგორც საშობლოს მცველისა, თავისთავად იმდენად საპატიოა და დიდმნიშვნელოვანი, რომ მის ზოგიერთ პოლიტიკურ უფლებების მხრივ შეზღუდვა, მეტადრე, რომელიც მას ხელს შეუშლის ამ როლის შესრულებაში, სასარგებლოა და აუცილებელი.

ამიტომ არის, რომ რესპუბლიკანურმა საფრანგეთმა, რომელმაც ამ ასი წლის წინად თავის მხედრებს ყველა უფლებები თავზე დააყარა ძალიან მალე „მწარე გამოცდილების“ შემდეგ ჩამოართვა იგი და დღეს საფრანგეთის ჯარი მოკლებულია აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას. ლიბერალურმა ინგლისმაც კი, სადაც ომამდის ჯარი დაქირავებულ ხალხისაგან უსენდებოდა, ვერ გაბედა მოხალისე ჯარის კაცთათვის საარჩევნო უფლების მინიჭება. და ინგლისელ ჯარის კაცს არა აქვს უფლება არც საარჩევნო ყუთთან მისვლისა, არც ყუთის დადგმისა. იტალიის, ავსტრიის, გერმანიის, ჰუნგრეთის, იაპონიის და სხვ. ჯარისკაცი, რეგულიარულ ჯარში მახურა, სრულიად მოკლებულია საარჩევნო უფლებებს. გამონაკლისს ამ შემთხვევაში შეადგენს ამ სახელმწიფოთა ოფიცერთა კორპორაცია, რომელსაც ძალაუფლებურად მიეღი თავისი სიცოცხლე სანხედრო სანსახურში უნდებათ ყოფნა. და რომ ვაათანასწორონ იგი ჯარისკაცთა წრესთან, რომელსაც სამსახურის გათავებისას რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ უბრუნდება პოლიტიკური უფლებები, ზოგიერთი სახელმწიფო ოციურებს ანიჭებს საარჩევნო უფლებას.

მაგალითად, იტალიაში ოფიცრებს ენიჭება აქტიური უფლება, მაგრამ პასიურს—თავის კანდიდატურის წამოყენების უფლება—აქვთ მარტო შტაბ-ოფიცრებს და გენერლებს. გერმანიაში ოფიცრებს მარტო პასიური უფლებები ეძლევათ.

ჰუნგრეთში და იაპონიაში ოფიცრები სრულიად მოკლებულნი არიან საჩევნო უფლებებს. ასეა სხვა სახელმწიფოებში და თუ ჩვენ მართლაც ვაშენებთ სახელმწიფოს და ვაწყობთ რეგულიარულ ჯარსა, ძველგანათლებულ სახელმწიფოთა გონიერა მაგალითებით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

ჩვენი ჯარისკაცთა ახალგაზღვრთა მასა შედარებით ევროპულ ჯარისკაცთა კონტრენტებთან ბევრად ჩამორჩენილია. მას ორი წლის ვადა ძლივს ეყოფა, რომ საშუალოდ მაინც მომზადდეს სანხედრო საქმეში, შეეჩვიოს მას და

თავისუფალი დრო მიანდომოს ქართულ ანბანის, ანგარიშის და სამშობლო ისტორიის შესწავლას. ჩვენი დღევანდელი და ხვალისდელი შინაური, თუ საგარეო პირობები აიძულებენ მას მოუსვენრად, ბევრჯერ გამუდმებით ბრძოლას ქვეყნის მტრების წინააღმდეგ, ნულარ დავამძიმებთ მის ასეთს მიმე მდგომარეობას აქტიური თუ პასიური პოლიტიკის ტვირთის ზიდვით. მას უნდა ჩვენ მხოლოდ დროზე ფული, საკმაო პური, კაი იარაღი, ტანთსაცმელი, სუფთა ყაზარმები, ჩვენი მატრვალე სიყვარული და მამური პატრონობა. საქართველოს პოლიტიკურ საქმეებს დანარჩენი ქართველობაც გაუძღვება. 40,000 ჯარისკაცს მიანდეთ მარტო-მარტო ჩვენი სამშობლოს გმირული თავდაცვა და მეტი არაფერი! ესეც საკმარისია. ქართველ ოფიცრებსაც უნდა უთხრათ: გსურთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა მიიღოთ—დანებეთ სამხედრო სამსახურს თავი. ასე ვუბნებიან თავის მხედრებს იაპონელები. ქართველ ოფიცრს არც პასიური უფლება ესაქიროება. თანამედროვე ხანა მეტად მძიმე და საშინელი პერიოდია საქართველოს ისტორიულ ცხოვრების წინსვლის პროცესში. საქართველოს თავისუფალი მომავალი სამხედრო ხალხის ხელშია. დღეს ქართველ ოფიცრთა წრეს ბევრჯერ მთუხდება უბრალო ჯარისკაცის, უნტერ-ოფიცრის, ფელდფებელის როლში შეშაობა. ოფიცრობას საქართველომ დიადი საქმე დააკისრა—სულ მოკლე ხანში ქართველთა რკინის ლევიონების შექმნა. ქართველმა ოფიცრებმა თავისი საარჩევნო ყუთები არ უნდა აღმართონ და პარლამენტისაკენ გაეშურონ არამედ სამშობლოს ღია საზღვრებისაკენ და იქ აღმართონ მავარი ფორტები და რკინის ცხენები. დარწმუნებით ვამბობ, რომ ჩვენი პატრიოტული ქართველი ოფიცრობა დასამშობს თავის საარჩევნო უფლებებს ჯარის და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პასიური საარჩევნო უფლების მინიჭება ჯარისთვის, ჯერ ჩვენ მოუწყობელ ცხოვრებაში, ისეთ მანე აქტიურ შედეგებს გამოიღებს ჯარში, რომ იგი ლაზხვრად ჩაეცემა ჯარის ორგანიზაციას ზურგში, იმ ჯარისა, რომელიც დღეს თქვენ თვალწინ მშვიდობიანად ეწყობა და თვალსაჩინოდ იხრდება, თქვენ მას ლხვარს არ ჩასცემთ. „წარსულის მწარე გამოცდილება“ გვახსოვდეს. მოაკლეთ მას საესენით პოლიტიკური ტვირთი და მის მაგიერ აღუყრეთ იგი სამხედრო ძლიერების და სახელმწიფოებრივ მზრუნველობის ყველა ატრიბუტებით.

და ჩვენს რესპუბლიკას ეყოლება ისეთი მომზადებული, გავრთიანებული ერთგული და მამაცი ჯარი, რომელიც მალე არაფრით არ ჩამოუვარდება რესპუბლიკანურ საფრანგეთის ლევიონებს, რომელთაც პოლიტიკით კი არა, სტრატეგიით დაიხსნეს სამშობლო. მე წინადადებას ვიძღვვი ამოღებულ იქნეს ამ დებულებიდან იურიდიულ კომისიის დამატება შესახებ იმისა, რომ რესპუბლიკის ჯარს ენიჭებოდეს საარჩევნო უფლება.

ოავმჯდომარე. პარლამენტის წევრი კედია სპირიდონ.

სპირიდონ კედია (ერ. დემ.). ჩვენი მოსახრებით მიუღებელი არის ის, რომ დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის მადების უფლება ჰქონდეს 19 წლის ახალგაზრდებს. თუ მისც და მინც გვინდა, რომ რეკორდი ავიღოთ, რომ ყველაზე უფრო დაწინავებულნი ვართ უფლების დარიგებაში,—მაშინ, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ დამარცხებულნი ვართ, იმიტომ, რომ, მაგალითად, უინტერვალდენში, შვეიცარიაში, უკვე 18 წლის ახალგაზრდობა იღებს მონაწილეობას არჩევნებში. თუ ჩვენ მაგალითებს ანგარიშს გაუწევთ, დაუყვირდებით სხვა სახელმწიფოს ცხოვრებას, მაშინ საბუთი არ გვექნება, რომ შეეყრდეთ აი ამ 19 წლის ცენზე.

არის მაგალითები, როგორც რესპუბლიკანურ ქვეყნებში, აგრეთვე კონ-

სტიქუციონალურ მონარქიებში, მაგალითად,—შვეიცარიაში, საერთოდ ზიღებული არის 21 წლის ცენზი.

არგენტინის რესპუბლიკაში მიღებულია 25 წლის ისე, როგორც მექსიკაში შვეიცარიაში. შტატებში, საფრანგეთში,—მიღებული არის 21 წლ. აქტიურ საარჩევნო უფლებებისთვის. მონარქიულ ქვეყნებში არის 25 წ. როგორც საზოგადო მოვლენა არის ისეთებიც, სადაც 21 წელიწადია. აი ამ ქვეყნებში, კონსტიტუციურ საკანონმდებლო მუშაობას, ბატონებო, ზოგან თითქმის 100 წ. და ზოგან უფრო ნაკლები, მაგრამ, მინც უფრო მეტი ხნის ისტორია აქვს, ვიდრე საქართველოს საკანონმდებლო მუშაობას და საკანონმდებლო პარლამენტს. და აი, ამ ხალხთა ცხოვრებაში არ აღძრულა საკითხი, და არ გჩაღებულა ბრძოლა იმის გარშემო, რომ მხოლოდ 25 წლის მოქალაქეთ აქეთ არჩევნებში აქტიურ მონაწილეობის უფლება. ეს წლოვანობის ცენზი შემცირებული ყოფილიყო და 28—19 წ. ახალგაზრდათ მისცემოდათ ეს საარჩევნო უფლება.

მაშასადამე ამ კონსტიტუციონალურ ქვეყნების ცხოვრება, და პრაქტიკა, ჩვენ გვიკარახებს იმას, რომ დატოვება მაღალ წლოვანობისა ქვეყნის აღდგენისათვის, უფრო ხელსაყრელია, და უფრო გამოსადეგი, არ არის საქართველოს შემცირებისა, და ქვეით დაწვევისა.

კერძოთ საქართველოსთვის ჩვენ აქ მივიღეთ, საერთოდ სამოქალაქო უფლება 21 წლის ახალაზრდას.

ძველ კანონით 19 წ. ახალგაზრდას არ ექნება უფლებაც კი, რომ ვექსილი ვისმეს მისცეს, ვექსლზე ხელი მოაწერეს. ბანკიდან თავის საკუთარ ფულს ვერ გამოიტანს, და თქვენ გინდათ ასეთ ახალგაზრდას მისცეთ პოლიტიკური უფლება, მოიყვანოთ პარლამენტში, და კანონები აწერინოთ. მე გგონია, რომ ეს არ იქნება სასარგებლო ჩვენ მუშაობისათვის. და ის განმარტება კომისიის მომხსენებლისა, და აგრეთვე ის სიტყვა, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ ამ საკითხის შესახებ, ვითომც ჩვენ, პოლიტიკურ უფლებებისათვის უფრო მომწიფებულნი ვყოფილვართ, და ამიტომ შეგვიძლიან 19 წ. ახალგაზრდას მონაწილეობა მივალდებინოთ,—მე მიმაჩნია ჩვენი ნამდვილი ვითარებას გადაჭარბება.

მე ვიცა, რომ სწორედ ჩვენში, ეს პოლიტიკური მომწიფება არ არის. რომ ეს პოლიტიკური სიწიფე გაცილებით უფრო ძლიერია, და მტკიცე იმ ქვეყნებში, სადაც პარლამენტარულ წერით მუშაობენ უკვე საუკუნოებით, საცა პოლიტიკური უფლება უფრო მაღალ წლოვანებას აქვს მინიჭებული ვიდრე 19 წ. აი, ბატონებო, ამ მოსაზრების გამო, ჩვენ მოვითხოვთ, რომ ნაცვლად 19 წ. შემოღებული იყოს 21 წ.

თავმჯდომარე. პარლამენტის წევრი გობეჩია.

ივ. გობეჩია. (ს.-რ.) ჩვენის აზრით, რეგულიარული ჯარი უფრო მხნედ და მტკიცედ დაიცავს რესპუბლიკას, და ხალხის თავისუფლებას მაშინ, როდესაც ის მიიღებს რაიმე მონაწილეობას იმ შენობის აგებაში, რომელსაც დამფუძნებელი კრება ეწოდება საქართველოს რესპუბლიკაში.

ჩვენ გგონია, რომ ისეთი მოსაზრება, რომელიც აქარწყლებდეს ჩვენ შესწორებას, არც ერთი ორატორის არ გამოუთქვამს. ამიტომ, ჩვენ ვდგევართ ძველ პოზიციასზე. ვიცავთ დემოკრატიის ამ უფლებებს და მივითხოვთ, რომ რეგულიარულ ჯარში ჩარიცხულებს ჰქონდეს, როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლება.

თავმჯდომარე. 2 მუხლზე ლაპარაკი არავის სურს. ვთხოვ მომხსენებელს.

მომხსენებელი. ბატონებო, მე საუბედუროდ, მომინდება გაშეორება იმისა, რაც მოვახსენეთ მოხსენებაში, იმიტომ, რომ ახალი მოსაზრება არ იყო აქ წამოყენებული, რომ ჩემი ახალი მოსაზრება დაუპირდაპირო.



აქ იყო დაეა იმაზე, 19 წლის ახალგაზრდანი მირთლაც მომზადებულნი არიან პოლიტიკურად, თუ არა. კომისიის აზრი ისეთი გახლავთ, რომ ის მოსაზრება, რომელიც მოიყვანეს იორატორებმა; ვერ არღვევს კომისიის მოსაზრებას.

ახლა, რაც შეეხება ჯარის უფლებას. ბ. ვაჩნაძის მოსაზრებით, ჯარის პოლიტიკურ უფლებით აღკვერვა, ეს არის ერთგვარ ხვრელის დატოვება. მე მგონია, რომ არავითარი ხვრელი არ რჩება. თავი და თავი მოსაზრება ის არის, რომ ყაზარმა არ გადაიქცეს საავტორიტაციო ასპარეზადო ეს დაცული იქნება.

ის გარემოება, რომ რეგულარულ ჯარის ვინმე მოსამსახურე წამოყენებული იქნება, როგორც კანდიდატი, ეს სრულად იმას არ ნიშნავს, რომ ჯარში გაჩაღდება ავტორიტა, ვინაიდან ის მოკლებული იქნება აქტიური უფლებას.

ეს 2 მოსაზრება მინდოდა მე კომისიის სახელით გამომეტყულებინა. თავმჯდომარე კომისიის აზრი ისეთი გახლავთ, რომ ჯარში მყოფთ ჰქონდეს პასიური უფლება.

არის შემოტანილი 2 წინადადება: ერთი წინადადება არის, რომ რეგულ. ჯარში მყოფთ ჰქონდეს აქტიური და პასიური უფლება. არის მესამე წინადადება, რომ არცერთი და არც მეორე უფლება ჯარს არ ჰქონდეს. ერთი მეორის საწინააღმდეგო წინადადებებია. მე კენჭს უყრი 2 წინადადებას. ვინ არის მომხრე, რომ ჯარს ჰქონდეს აქტიური და პასიური უფლება? (კენჭის ყრა) მაშასადამე, ეს წინადადება უარყოფილია.

ახლა მე კენჭს უყრი კომისიის წინადადების: რომ ჯარს მიეცეს პასიური უფლება; ვინ არის მომხრე? გთხოვთ ასწიოთ ხელი. მაშასადამე, კომისიის არი მიღებულია.

ახლა მეორე დებულების შესახებ. აქ კომისიის აზრით არჩევენში მონაწილეობის უფლება ეძლევა 19 წლის ახალგაზრდას. მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციას შემოაქვს წინადადება, რომ ეს ცენზი იყოს 21 წ. კიდევ არის წინადადება 20 წ. ვინ არის მომხრე, რომ მიღებულ იქნეს ეს შესწორება, ე. ი. 21 წ.? ვინ არის წინააღმდეგი? ეს წინადადება უარყოფილია. ვინ არის მომხრე, რომ იყოს 20 წ.? ამას უყრი კენჭს. ვინ არის წინააღმდეგი? ამ რიგათ არის მიღებული 20 წ. ამ რიგად მესამე მუხლი გახლავთ მიღებული.

ახლა უნდა მოვახსენოთ, რომ სამ საათზე მეტი გახლავთ. არის წინადადება, რომ ხუთშაბათს დაინიშნოს განსაკუთრებული სხდომა.

ორი დღი საკითხი არის განსახილველი. ვინ არის ამ წინადადების წინააღმდეგი? ვის ჰსურს სიტყვა? თქვენ? ინებეთ.

რაუდენ არხენიძე. (ს. დ.) პარლამენტის წევრო. მე მგონია, რომ დამფ. კრების არჩევნები საშურო საქმე არის, და ამიტომ განხილვა ამ კანონ-პროექტისა უნდა მოხდეს უფრო დაჩქარებით, ვიდრე ჩვენი ნორმალური საკანონმდებლო მუშაობა.

სწორედ იმ მოსაზრებით, რომ 3 საათი დადგა, ყურადღება იღლება, და საზოგადოთ დებუტატები აღარ ეპყრობიან ისეთ გულმოდგინეთ, დღეს შეიძლება კრება დაეხუროთ.

ხუთშაბათს სპეციალური კრება დავნიშნოთ, და პარასკევისთვის დაგვრება ჩვეულებრივი წესრიგი.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? არავის. მაშ კენჭს უყრი ამ წინადადებას. ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე განსაკუთრებელი სხდომა შესდგება ხუთშაბათს.

ახლა კრება დახურულია.

კრება იხურება 3 საათსა და 20 წუთზე.